


100 Երևո



Հր. Յուր. Հր. Յուր. Հր. Յուր.

"კრიკს შექონდა თავისი ჯგუფობრტად კარგი სახე" ქართველი კაცი
პატარაობიდანვე იწვრთნებოდა სამშეღრო ხერხებში. ავარჯიშებდა თავის
ხალ გონებას და გამაგრრეტელობას, რომელიც მას ბუნებით დამკყოლია.
ვარჯიშობდა სიმაღრდები, სისწრაბტეღუნებით სიტყვიით. კრიკში ქართველი
იფრდა ყველა იმ თვისებას, რომელნიც მკირფასანი არიან. სამხედრო
საქმისათვის".

ქილწწწწწწწწწ

ივერია, 1885 წ.

სამორტი ვრის საბჭო. მისი ტრადიციების და კულტურის ამსახველი
სამორტი ამავე ვრის ტრადიციების და კულტურის ამსახველი
სამორტი ამავე ვრის ტრადიციების და კულტურის ამსახველი

დაწმწწწწწწწწ წაწწწწწწწწ

კრიკს მისი გარდა ბუნებამ იგი გამორჩეული სიღამაზით დააჯიღდროვა
სამორტული ჟურნალისტები მასზე აღფრთოვანებით წერდნენ: "ჯიღბული
ქართველ მოკრიგე და შეხანიშნავი აფლტეტი". ქართული კრიკისა და
თბილისის ჟურნალის მწვერება: "საოცრად აღსავი". კრიკტუბში ქართველი
მკრიგე: "მონჯე გოღვათი", "კრიკური მამოვიდა მთიდან" და სხვა. მისი
უღამაზები ფიგურა არაერთი ფუნჯის თუ მსატრუელი ფოტოგრაფიის
ოსტატის ობიექტად ქცეულა.

ღეჭა ღუღუშაურის ოჯახში შექონახულია მისი პირადი არქივი:
დღიურები, ფოტოები, ვახუტები, აფიშები, წერილები, რაც ფაქტობრივად
საბუღებას ჯეაღლევს იქელი მიუადევებით საქართველოში კრიკის
ვანეთარების ისტორიას ვარკუული პერიოდის მანძილზე.

2012 წელს სრულდება 100 წელი ღუღუშაურის დაბადებიდან
ბუნით აღნიშნული შახალების საფუსველზე შეგვდებით.

ედღვნება

ლევან ლუღუშაურის

და

მისი თაობის მოკრივეების:

ა. ნოვოსარდოვის, შ. დვალის,
ბ. მელაძის, გ. ვართანოვის,
შ. გორბასლიძის, ე. არისტაკოვის,
გ. ხანუკაშვილის, ბ. კალაძის,
გ. ტაბატაძის

მწვრთნელების:

გ. გასპარინის და ა. გოლუბტეინის
ძვირფას ხსოვნას

“კრივს ჰქონდა თავისი ჭეშმარიტად კარგი სახე: ქართველი კაცი პატარაობიდანვე იწვრთნებოდა სამხედრო ხერხებში, ავარჯიშებდა თავის საღ გონებას და გამჭვრეტელობას, რომელიც მას ბუნებით დაჰყოლია, ვარჯიშობდა სიმარდეში, სისწრაფეში – ერთი სიტყვით, კრივში ქართველი იძენდა ყველა იმ თვისებას, რომელნიც ძვირფასნი არიან სამხედრო საქმისათვის”.

“ივერია”, 1885 წ.

სპორტი ერის სახეა, მისი ტრადიციების და კულტურის ამსახველი. სპორტი ამავე დროს პოლიტიკაა. ქართული გენის შენარჩუნების და გადარჩენისათვის ქართველ მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა გვერდით ქართველი სპორტსმენებიც ღირსეულად იღწვოდნენ. უდიდესია მათი წვლილი საქართველოს სახელის და დიდების მოპოვებაში. ვინ იცის მსოფლიო ისტორიას რამდენი ბრწყინვალე სახელი მოაკლდა მხოლოდ იმიტომ, რომ მშქართველ სპორტსმენთა არეალი საბჭოთა კავშირის საზღვრებით იყო შემოფარგლული.

იმ თაობის სპორტსმენებს განეკუთვნება ლევან ლუღუშაური, რომელიც კრივის ნამდვილი მშვენება იყო, ტყავის ხელთათმანის უბადლო ოსტატი, ქვეყნის ერთერთი პირველი ჩემპიონი. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მან მთელი ეპოქა შექმნა საქართველოში სპორტისა და კერძოდ კრივის წინსვლისათვის. ლუღუშაურის დახვეწილ ოსტატობას ამერიკელი მოკრივის ჯეკ დემპსის (ამერიკის ჩემპიონი 20-იან წლებში) კრივს ამსგავსებდნენ. “მოპირდაპირის სწრაფი გამოცნობა, თავის კარგი დაცვა, ენერჯის რაციონალური განაწილება ორთაბრძოლის მთელ მანძილზე. აი, ძირითადი თვისებები, რითაც ხასიათდება ლუღუშაურის კრივი”.

კრივის ნიჭის გარდა ბუნებამ იგი გამორჩეული სილამაზით დააჯილდოვა. სპორტული ჟურნალისტები მასზე აღფრთოვანებით წერდნენ: “დიდებული ქართველი მოკრივე და შესანიშნავი ათლეტი”, “ქართული კრივისა და თბილისის ქუჩების მშვენება”, “ახოვნად აღნაგი”, “ვირტუოზი ქართველი მოკრივე”, “მოხვევე გოლიათი”, “კრეისერი ჩამოვიდა მთიდან” და სხვა. მისი ულამაზესი ფიგურა არაერთი ფუნჯის თუ მხატვრული ფოტოგრაფიის ოსტატის ობიექტად ქცეულა.

ლევან ლუღუშაურის ოჯახში შემონახულია მისი პირადი არქივი: დღიურები, ფოტოები, გაზეთები, აფიშები, წერილები, რაც ფაქტობრივად საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ საქართველოში კრივის განვითარების ისტორიას გარკვეული პერიოდის მანძილზე.

2012 წელს სრულდება 100 წელი ლევან ლუღუშაურის დაბადებიდან. ზემოთ აღნიშნული მასალების საფუძველზე შევეცდებით თქვენ

ყურადღება მივაპყროთ მისი განვლილი ცხოვრების იმ ფაქტებს, რაც ვფიქრობთ საინტერესო იქნება საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, რომელთა აღზრდას მან არაერთი ათეული წელი მოანდომა.

1936 წელი. 1 დეკემბერი, მოსკოვი

მზადება საბჭოთა კავშირის პირველთაშისათვის

“დღლის 8 საათზე აგვაყენეს და დავგანწყებინეს კროსი. გავვიყვანეს სტადიონზე, საუკეთესოდ მონყობილ კრივის დარბაზში და შევუდექით ვარჯიშს. ჩვენი მწვრთნელები ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელები იყვნენ: გიოტე, დენისოვი და სხვები. ჩვენი ვარჯიში ყოველდღიურად ერთი და იგივე იყო. რამოდენიმე დღის შემდეგ მოდის ჩემთან დენისოვი და მეუბნება “თქვენ ცალკე იარეთ ჩემთან. თქვენგან დემპსის ტიპის მოკრივე გამოვა. თქვენი ტანი დემპსის ტიპიურია”. მითხრა აგრეთვე, რომ ჩარიცხული ვიყავი ქვეყნის ნაკრებ გუნდში, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა საკავშირო შეჯიბრში ლენინგრადში, 26 დეკემბერს. გუნდში შედიოდა საბჭოთა კავშირის ორი ჩემპიონი თეიმურიანი და ოგურენკოვი. ჩემთვის ეს დიდი მიღწევაა. უცებ ასეთი ყურადღება მომაქციეს და შემიყვანეს ქვეყნის ნაკრებში. მე წინასწარი ვარჯიშის გარეშე ჩავედი მოსკოვში, 25 დღეში არ შეიძლება ფორმაში შესვლა, მაგრამ დენისოვი რატომღაც ძალას მატანდა და მარწმუნებდა, რომ ამ შეჯიბრში უსათუოდ კარგ მაჩვენებელს მივალწვდი. მეც დავთანხმდი. ამ შეჯიბრზე უნდა შევხვდე ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივეს სტეფანოვს მიხაილოვის შემდეგ.

19 დეკემბერი

სასადილოში ვისაუბრე და მოვიწამლე. ექიმები ჩემს გადარჩენას არ ელოდნენ. ჩემი შეხვედრა სტეფანოვთან არ შედგა.

1937 წელი, 1 მარტი, თბილისი

თბილისის და ლენინგრადის გუნდების შეხვედრა. ჩამოვიდნენ ლენინგრადელი მოკრივეები. ქუჩებში უკვე აფიშები და მონაწილეთა გვარებია გამოკრული. შეჯიბრი დანიშნულია 3 მარტს, ძერუინსკის სახელობის კლუბში.

5 მარტი

სალამოს 8 საათზე ვიყავი ძერუინსკის სახელობის კლუბში. ვიდრე შიგნით შევიდოდი უამრავი ნაცნობი და მეგობარი შემხვდა. ყველა ერთი და იგივეს მეუბნებოდა “აბა, შენ იცი არ შეგვარცხვინო”. მე მხრების აწევით ვეუბნები – წინასწარ თქმა იმისა, რომ მოვიგებ სისულელე იქნება, ისე კი ყველაფერს გავაკეთებ, რომ მოვიგო. როგორც იყო თავი დავაღწიე



ამხანაგებს და შევედი კლუბში. ბოლო დღეს 5 წყვილი ენდა შესხვედროდა ერთმანეთს. მე ბოლოს გამომიძახეს. ხალხმა ტაშით მიმილო. ალბათ იმიტომ, რომ დიდი ხანია არ გამოვსულვარ. მე წყნარად მივედი ჩემს კუთხეში და დავიწყე ფეხებზე კანიფოლის წასმა. შეჯიბრი დაიწყო. ჩემკენ წამოვიდა მაღალი ტანის, ზედმეტი ცემისგან ცხვირგაბრტყელებული მოროზოვი. მე თავიდანვე გადავწყვიტე მემუშავა არა ქულეზე, არამედ დარტყმებზე. პირველ დღეს ვუყურე მოროზოვის ჩხუბს და დავასკვინი, რომ მისი მოტეხვა ადვილია. ასეც მოხდა. მოროზოვი წამოვიდა ჩემზე და მარცხენა ხელი დამარტყა. მე არ ვუპასუხე. მივიღე დარტყმა და დავიწყე შესწავლა. ტაიმის ბოლოს მივედი დარტყმების სერიებით და მოხდენილად მოვუგე პირველი ტაიმი. ჩემი სეკუნდანტები ღიმილით მეუბნებიან “ძალიან კარგია. 1 ტაიმი მოიგე”. ერთმა წუთმა გაიარა. ჩვენ ისევ ერთმანეთისკენ გავემართეთ. ეხლა უფრო სწრაფი ტემპი ავიღე. გადავედი პირდაპირ შეტევაზე. მოროზოვს მოხვდა ერთი მაგარი ყბაში. მან ქანაობა დაიწყო, ჩვარივით ჩამომეკიდა და შემიკრა ხელები. მსაჯმა დაგვაცილა ძახილით “ბრეიქ”. მოროზოვი ისევ დამეტაკა და დამეკიდა. ჩანდა, რომ მას აღარ შეეძლო წინააღმდეგობის განევა. დარტყმებმა წონასწორობა მოუშალა. მეორე ტაიმის უკანასკნელი წუთი იყო, როდესაც თავი ამომარტყა, გამისკდა წარბი. სისხლმა შადრევანივით ამომასხა. შეჯიბრი შეაჩერეს. გადმოცვივდნენ რინგზე ექიმები, მაგრამ სისხლის დენა დიდხანს ვერ შეაჩერეს. უნდოდათ შეჯიბრის შეწყვეტა, მაგრამ მე არ დავთანხმდი, რადგან ვხედავდი, რომ უეჭველი გამარჯვება მქონდა. კარგა ხანს დამტრიალებდნენ ექიმები. მერე, როგორც იქნა შეაჩერეს სისხლის დენა. დაიწყო მესამე და უკანასკნელი ტაიმი. ბრაზისაგან აღარ ვიცოდი რა მექნა. გადავედი ისევ თავდასხმაზე. მოროზოვი ისევ თვალში მიმიზნებდა, მაგრამ სანადელს ვერ მიაღწია. მთელი სამი წუთი ვურტყი და მოვუგე უკანასკნელი რაუნდი. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა მსაჯი ფურცელაძე და გამოაცხადა ჩემი გამარჯვება. მე და მოროზოვმა ჩამოვართვი ერთმანეთს ხელი და დავცილდით. უნდა ავლნიშნო ხალხის განწყობილება. რას არ მიყვიროდნენ ჩხუბის დროს “მიდი ლევან, ერთიც და ნაიქცევა” და სხვა. მე გამოვედი თუ არა მაშინვე ჩამაცვეს და წამიყვანეს საავადმყოფოში წარბის გასაკერად. მანქანაში რომ ვჯდებოდი, ბიჭებმა მომაძახეს – მანდ კი არა “ლინკოლნი” უნდა ჩასვით.

1938 წელი. აპრილი, თბილისი
საქართველოს პირველობა

7 სთ.30 წთ. მივედი რუსთაველის სახელობის თეატრში. შესასვლელთან თავი მოეყარა ახალგაზრდებს. ჩემს დანახვაზე შემომეხვიენ და დამიწყეს ქათინაურები. მე ყველას მოკლე პასუხს ვაძლევდი. ბოლოს ძალიან ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. მეუხერხულა და შევედი თეატრში.



სცენაზე რომ ავედი, შემხვდა პიკო მურღულია, რომელიც რუსთაველის თეატრში მუშაობდა. პიკომ წამიყვანა თავის კაბინეტში და მითხრა "აქ გაიხადე და მოეწყე". პიკომ გაიხსენა მარჯანიშვილის თეატრი. ბევრი მელაპარაკა კრივზე. შემდეგ ორივე გამოვედით სცენაზე, სადაც იდგა კობტად გაჭიმული რინგი. მალე აინია ფარდა და დაიწყო შეჯიბრი. პარტერი სავსე იყო მაყურებლით. მე დიდხანს აღარ მიყურებია, წამოვედი მსახიობთა დასასვენებელ ოთახში და დავიწყე ბრძოლის ტაქტიკაზე ფიქრი. აქვე გახდილი მიდი-მოდოდოდა ჩემი მოწინააღმდეგე ანუფრიევი. დროგამოშვებით მესმოდა რინგიდან მაგარი დარტყმის ყრუ და მძიმე ხმა. ვინეტი და ლელვით უცდიდი გამოძახებას. ვერ წარმოიდგენთ წუთებს, როდესაც გახდილი წევხარ და უცდი გამოძახებას საჩხუბრად. მოწინააღმდეგე კი იქვე დგას და ჩუმად უთვალთვალებს შენ თითოეულ მოძრაობას. ამ წუთების აღწერა და გადმოცემა მეტად ძნელია.

შეჯიბრის პირველი ნახევარი დამთავრდა. ჩემთან მოვიდა პიკო და მეუბნება: "ცოტა არ იყოს მეშინია. შენი მოწინააღმდეგე დიდია, არ გაჯობოს". მართლაც ანუფრიევი ჩემზე გაცილებით დიდი იყო, მაგრამ მისი არ მეშინოდა. პიკოსთან ერთად, სხვებმაც იგივეს ლაპარაკი დამიწყეს. პასუხად ჩემი ღიმილი იყო "რინგზე ვნახავთ დიდსაც და პატარასაც". შესვენება დამთავრდა. დაიწყო შეჯიბრის მეორე ნახევარი. ახლოვდებოდა ჩემი გამოსვლის წუთები. "ლუღუშაური - ანუფრიევი", შემომესმა ძახილი. მე ნელა წამოვედი და გავემართე რინგისაკენ. პირველად ანუფრიევი გავუშვი. მის გასვლას ხალხი ტაშით შეხვდა. ცოტა ხნის მერე გავედი მეც. ხალხმა დიდი ტაშით მიმიღო. მესიამოვნა ხალხის ასეთი მიღება. ჩემი მენეჯერები იყვნენ ინტერმახი და მელაძე. ხელთათმანები გავიკეთეთ, მივესალმეთ ერთმანეთს და დავიკავეთ ჩვენი ადგილები.

I რაუნდი დაიწყო. მე თავს ვიკავებდი, შეტევაზე არ გადავდიოდი. ცოტა ხნის შემდეგ ანუფრიევი წამოვიდა შეტევაზე. მე ძლიერი კონტრშეტევით ვუპასუხე. ანუფრიევს მოხვდა ორი ძლიერი დარტყმა. ამის შემდეგ გადავედი მსუბუქ შეტევაზე. პირველი რაუნდი დამთავრდა ჩემს სასარგებლოდ.

II რაუნდი. დავიწყე დინჯად. ვცდილობდი ენერჯის დაზოგვას. განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ქულებით მოვიგე მეორე რაუნდიც.

III რაუნდი. ვუფრთხილდებოდი მარჯვენა ხელს, რომელიც ნატკენი მექონდა თიკანაძესთან ჩხუბის დროს. ანუფრიევმა ეს იცოდა და ჩემი მარჯვენის არ ეშინოდა, მაგრამ მე, როგორც კი დავინახე მისი ღია ადგილი მაშინვე გავუშვი მარჯვენა ძლიერი დარტყმა. მიზანს მივალწიე. ანუფრიევი ცოტა შეირყა და დაკარგა წონასწორობა. იგი მაშინვე გადავიდა თავდაცვაზე. ეს რაუნდიც მოვიგე უფრო უკეთესად.

IV რაუნდი. მივიღე გაფრთხილება არასწორი დარტყმისათვის, მაგრამ რაუნდი არ წამიგია.



V რაუნდი. მოვიგე უფრო სუსტად. ძალა დავზოგე კე უკანასკნელი რაუნდისათვის.

VI რაუნდი. დავინყე გააფთრებით. ძალას აღარ ვზოგავდი. ტემპი სწრაფი და ძლიერი იყო. რაუნდის დამთავრებამ "ინფაიტინგში" (ახლოს ჩხუბი) მოგვისწრო. ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს და დავიკავეთ ჩვენი ადგილები. მსაჯებმა ერთხმად მომცეს გამარჯვება.

1938 წ. მაისი. მინსკი. საკავშირო შეჯიბრი

მივიღე წერილი მოსკოვიდან სპორტის დამსახურებულ ოსტატ ოგურენკოვისგან, რომელიც მწერს, რომ 12 მაისს ქ. მინსკში იწყება საკავშირო შეჯიბრი კრივში.

ჩვენმა მწვრთნელმა ალექსანდრე გოლშტეინმა გამოგვიცხადა, რომ 1938 წლის საბჭოთა კავშირის პირველობაზე დაშვებული ვარ საკავშირო ფიზულტურის კომიტეტის მიერ.

მინსკში გავემგზავრეთ 4 მოკრივე. ყველა საქართველოს ჩემპიონი: გორგასლიძე, ნიკოლაევი, ნოვოსარდოვი და მე. ოთხივემ მოვიგეთ. გორგასლიძემ მოუგო მოსკოვის ჩემპიონს ბესონოვს ნოკაუტით ჯე რაუნდში. ნიკოლაევა მოუგო მოსკოვის ჩემპიონს კირშტეინს. ნოვოსარდოვმა მოუგო ხარკოვის ჩემპიონს გოლდინოვს.

გაზეთები წერდნენ: «В отличии от прошлого года в этом году звание чемпиона страны оспаривают много тяжелесов в большинстве молодежи обладающая хорошими данными Они несомненно вырастут в прекрасных спортсменов. Темпераментный бой провели Голдинов (Киев) _ Гудушаури _ (Тбилиси). Тбилисец очень сильно бьет, повидимому намереваясь нокаутировать противника, однако он грешит неточностью ударов. Голдинов необыкновенно силен и вынослив. Сокрушительные удары Гудушаури на него не действуют. Выигрывает Гудушаури» (Красный спорт, 15 мая).

1938 წ. ოქტომბერი. ქ. ბაქო

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ვართ: გორგასლიძე, ნიკოლაევი, ბაქრაძე, რუდომიატკინი, ნოვოსარდოვი, ლუდუშაური.

ქ. ბაქო. საკავშირო შეჯიბრი. საქართველოს ნაკრებში ვართ: კალაძე, მესიანი, გორგასლიძე, კვინიხიძე, ივამჩენკო, კანდელაკი, დვალი, დარახველიძე, ლუდუშაური.

10 ოქტომბერი

"დაიწყო ანონვა. მე მაკლდა 2 კგ, რომ გამოვსულიყავი მძიმე წონაში (ამ წონაში ჩვენ არ გვყავდა კაცი, ამიტომ მომიხდა გადასვლა მძიმე წონაში). წონის მოსამატებლად შიგნიდან მოვიბი 2 კგ-იანი რკინა ისე, რომ შესამჩნევი არ ყოფილიყო. როდესაც სასწორზე ავედი, მსაჯმა

მთხოვა, სულ გავშიშვლებულიყავი. საქმე ცუდად იყო, ვილაცამ გამცა. მე გამოვედი, ავირბინე საჩქაროდ ჩემს ოთახში, მოვიხსენი რკინა და დიდი გაჭირვებით დავლიე წყალი. ჩავედი ასანონად. ავინონე და გამოვედი 80 კგ და 500 გრ. გადავაჭარბე ნახევრად-მძიმე წონას. ვინაიდან მყავდა მხოლოდ ერთი მონინალმდეგე, ჩემი შეხვედრა 12 ოქტომბრისათვის ცირკის შენობაში გადაიტანეს. 10-11 ოქტომბერს თითქმის ყველა წყვილის გამოსვლა წაგებით დამთავრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯუბის უსამართლო გადაწყვეტილებები უცხო ხილი არ იყო ქართველებისათვის, რაც მაყურებელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. ასე იყო, მაგალითად, დვალთან. მან მოუგო კოგანს, მაგრამ გამარჯვება მიანიჭეს უკანასკნელს. 12 ოქტომბერს ფინალში შევხვდით: გორგასლიძე - გრეინერი (ხარკოვი), კვინიხიძე - ივანოვი (ლენინგრადი). მე შევხვდი პლოტნიკოვს. შეხვედრა მოვიგე. ჩემი მონინალმდეგე არ იყო სათანადოდ მომზადებული. იგი ადვილად დავამარცხე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე ბევრად დიდი და მძიმე იყო. იგი იწონიდა 87 კგ."

გამორჩეულია ლევანის სპორტულ ბიოგრაფიაში მისი კოროლიოვთან შერკინება, რომელიც პირველად 1938 წელს შედგა. მათ ერთმანეთთან შერკინება არ ეკუთვნოდათ. კოროლიოვი მძიმე წონაა, ლუდუშაური ნახევრად მძიმე. კოროლიოვი კრივის ფენომენია, ლუდუშაური - ქვეყნის ჩემპიონი. კოროლიოვი ქვეყნის შვიდგზის აბსოლუტური ჩემპიონი იყო, რინგის უცვლელი მეფე, მაგრამ ლევანმა მოინდომა, წონა შეიცვალა და შეხვდა. კოროლიოვთან შეხვედრას სპორტული ყინი ჰქონდა. "პირველ შეხვედრაზე "გროგმი" ჩავაგდე (გროგი ძლიერი დარტყმაა, როდესაც მონინალმდეგეს ფეხები ეცლება და იბნევა). კოროლიოვისათვის ასეთი ძლიერი დარტყმა მანამდე არავის მიუყენებია. ჩემმა დარტყმამ მაყურებელში დიდი ოვაცია გამოიწვია. პირველი რაუნდი ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა. შესვენების დროს კოროლიოვს მისმა სეკუნდანტმა ნიშადურის სპირტი აყნოსა და გონზე მოიყვანა. კოროლიოვი გაბრაზდა და გადმოვიდა იერიშზე. მე მთელი ყურადღება მის მარცხენა ხელზე მქონდა გადატანილი, რომლითაც იგი მაგრად ურტყამდა. კოროლიოვი მიმიხვდა და ტაქტიკა შეცვალა. შეხვედრა წავაგე, მაგრამ მას წაგებულად არ ვთვლი. კოროლიოვი მანამდე არავის დაუჩოქებია. მე კი ეს შევძელი".

1939 წ. დეკემბერი. მოსკოვი

საკავშირო გუნდური პირველობა

საქართველოს ნაკრებში ვართ: კალაძე, მესიანი, ავეტისოვი, ვართანოვი, კვინიხიძე, ბაქრაძე, რუდომიატიკინი, მე და ნოვოსარდოვი.

19 დეკემბერი

"სალამოს 9 საათზე მატარებლით გავემგზავრეთ მოსკოვში. მოსკოვში დაგვხვდნენ და მოგვათავსეს სასტუმრო "კიევსკაიაში". ჩავატარეთ კარგად დატვირთული ვარჯიში და მეორე დღეს მთელი დღის განმავლობაში ვისვენებდით".

შეუძლებელია ემოციის გარეშე წაიკითხო ლევან ლუდუშაურის დღიურში ის ადგილები, სადაც იგი სპორტსმენთა სულიერ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას აღწერს: "მთელი დღე ვინჯით და ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ უნდა გვემუშავნა თვითეულ ჩვენთაგანს. ვერ წარმოიდგენთ რა მღელვარებას და ნერვიულობას განიცდის მოკრივე შეხვედრის უკანასკნელ დღეებში. ათასნაირი ფიქრი გიტრიალებს თავში. ყველაფერი ერთი მეორეში გერევა, ხან კითხულობ, ხან მუსიკას უსმენ, ხან ოთახში დადიხარ, რომ ყურადღება სხვაზე გადაიტანო, მაგრამ ყველაფერი ამაოა. ერთი აზრი გიტრიალებს გონებაში და არ გასვენებს, რომ სვალ უნდა გამოხვიდე ხალხის წინაშე და იბრძოლო, მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ ვინ გაიმარჯვებს. მოკრივის მღელვარებას აჩერებს მხოლოდ პირველი გონგი. აქ უკვე დინჯი და დაფიქრებული ხარ. ყოველი მოძრაობა მოზომილია და ვაი იმას, ვინც ასე არ მოიქცევა. ის მკაცრად ისჯება. მოვიდა ეს წუთიც. პირველად რინგზე გამოდის კალაძე და ვიტენბერგი. გაიმარჯვა კალაძემ. მეორე წყვილი - გამოდიან მესიანი და პოდლუჟნიაკი. გაიმარჯვა მესიანმა. მესამე წყვილი გორგასლიძე და სალმანი. თავიდანვე აშკარაა გორგასლიძის უპირატესობა, მაგრამ სალმანმა თავით მას წარბი გაუხეთქა და გამარჯვება სალმანს მისცეს, ნაცვლად იმისა, რომ იგი შეჯიბრიდან მოეხსნათ აკრძალული დარყმის ჩატარებისათვის. მეოთხე წყვილი იყო ვართანოვი - სტაროსვეტსკი. აქაც სტაროსვეტსკის უსკდება წარბი და შეჯიბრიდან ხსნიან ვართანოვს. შემდეგი წყვილი კვინიხიძე - ახმედოვი. თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდო ახმედოვმა და მოიგო კიდევ. ბაქრაძემ წააგო ჩორნისთან. მე წავაგე სტეპანოვთან. ნოვოსარდოვმა მოუგო გოლდინოვს. წავაგეთ 5:3. მაგრამ ეს იყო მსაჯთა კოლეგიის აშკარა და უტყუარი მიკერძოება, რათა თბილისის გუნდი არ შეხვედროდა მოსკოვის გუნდს.

1940 წ. მაისი. ბაქო

საზჭოთა კავშირის პირადი პირველობა ("ზ" ჯგუფში)

საქართველოს ნაკრები: ბარსეგიანი, ბერიევი, მისაკიანი, ტულუში, ბაღდასაროვი, პოპოვი, ბიძიანი, ლუდუშაური, დვალი. შეჯიბრი ტარდებოდა ზონების მიხედვით. ჩვენ ზონაში შედიოდნენ: ბაქოს, ერევნის, ნალჩიკის, მახაჩკალის და გროზნოს მოკრივეები. 18 მაისი შეჯიბრის პირველი დღე იყო. მე მოვიგე კომანოვთან ხუთივე რაუნდი. კომანოვმა ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გამიწია. შემედლო მისი დაწვენა პირველ რაუნდშივე, მაგრამ ჩემმა მენეჯერმა გასპარიანმა მითხრა, რომ არაა საჭირო, მაინც უგებ და გააგრძელე ბრძოლა. მეორე დღეს არ გამოვსულვარ, ვინაიდან არ მყავდა მოწინააღმდეგე. პირდაპირ გავედი ფინალში. 20 მაისს უნდა შეხვედროდი იუსუფოვს. კომანოვთან ისე ეფექტურად მოვიგე, რომ იუსუფოვს ჩემთან შეხვედრა აღარ უნდოდა. სავალდებულო ანონვაზე იგი არ გამოცხადდა, რისთვისაც წესის მიხედვით შეჯიბრიდან უნდა მოეხსნათ, მაგრამ არ მოხსნეს. როდესაც მე ხელებს ვიხვევდი, იქვე მომლიმარი იუსუფოვი იდგა და მითხრა «Для чего тов. Гудушаури так бинтовать руки» მივხვდი, რომ იგი ბრძოლას არ აპირებდა. რინგზე მაინც გაგვიძახეს. ჩემს კუთხეში სეკუნდანტებად მყავდნენ ჩემი პირველი მწვრთნელი გასპარიანი და ერევნელი მძიმე წონის მოკრივე ასუმიანი. მსაჯმა გაგვისინჯა ორივეს ხელთათმანები, გამოაცხადა გვარები და დაიწყო პირველი რაუნდი. მე პირდაპირ იერიშზე გადავედი და მარჯვენა ხელით მუცელში ძლიერი დარტყმა მივაყენე. იუსუფოვმა ხელები ჩამოყარა და ნახევრადუგრძობმა დაიწყო ბარბაცია. მსაჯმა თვლა დაიწყო, შემდეგ შეეკითხა ბრძოლას თუ გააგრძელებდა. იუსუფოვმა ჩაიქნია ხელი და ბარბაცით გაემართა თავის კუთხისაკენ. მსაჯმა ამიწია ხელი და ჩემი გამარჯვება გამოაცხადა. ჩემს შემდეგ გამოდიოდა დვალი და ლიტვინოვი. შეხვედრა მოიგო დვალმა. ამგვარად თბილისიდან გამარჯვებულები იყვნენ: ლუდუშაური, დვალი და ბიძიანი.

გამარჯვებულები ივლისში ივანოვოში ჩაატარებენ უკანასკნელ შეხვედრას. გამარჯვებულები მიიღებენ კავშირის ჩემპიონის წოდებას თავ-თავის წონაში.

1940 წ. ივლისი. ივანოვო. ბიძიანი, დვალი, ლუდუშაური.

2 ივლისი

ნავედი სპარინგით სავარჯიშოდ. რინგი ღია სტადიონზე იყო მონყობილი. შევიკრიბეთ: ბიძიანი, დვალი, მაშკინი და მე. ბიძიანმა და დვალმა იმუშავეს ერთად. მაშკინს, როგორც მოკრივეს, მე არ ვიცნობდი. თურმე ყოფილა ახალგაზრდა კარგი მოკრივე. პირველ რაუნდშივე ვიგრძენი, რომ საქმე მაქვს სერიოზულ მოწინააღმდეგესთან. პირველად ნელა ვმუშაობდი, შემდეგ კი მომიხდა სერიოზული მუშაობა.



მაშკინის მწვრთნელი ოგურენკოვი (ძმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა) დროდადრო მაფრთხილებდა «Тише Гудушаури». ოთხი რაუნდი ვიმუშავეთ. მე კმაყოფილი დავრჩი სპარინგით. გამოსვლისას ბიჭები იცინოდნენ და მეკითხებოდნენ, როგორ მოგწონს ახალგაზრდა მაშკინი. მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ იგი უთუოდ პირველი ადგილის პრეტენდენტი იყო.

4 ივლისი

სავარჯიშოდ არავინ მოსულა. მე მარტო ვიყავი. დღის დაკარგვა აღარ მინდოდა და იარაღებზე ვივარჯიშე. სხეული ვარჯიშით დავტვირთე. ვარჯიშის შემდეგ ვიბანავე და წავედი ქალაქში სასაიერნოდ.

5 ივლისი

სტადიონზე მსუბუქი კროსის შემდეგ მივიღე შხაპი, გამიკეთეს მასაჟი და შემდეგ წავედი დასასვენებლად.

6 ივლისი

ეს ჩემი ბოლო ვარჯიში იყო. სპარინგში ვიმუშავე ისევ მაშკინთან, რადგან დანარჩენებთან შედარებით ყველაზე ძლიერად მიმაჩნდა. მასთან ვარჯიში მომცემდა გაცილებით მეტს, ვიდრე სხვასთან. ვიმუშავე 5 რაუნდი კარგ ტემპში, სუნთქვის უკვე აღარ მეშინოდა. დავრწმუნდი, რომ კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი. სრულებით არ დავლილივარ.

7 ივლისი

ვისვენებდი. ვკითხულობდი მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებს. ვცდილობდი რაც შეიძლება ნაკლები მეფიქრა კრივზე. ჩვენი შეჯიბრი დაინიშნულია 9 ივლისს ივანოვოში.

8 ივლისი

მოსკოვიდან გავემგზავრეთ ივანოვოში. წარმომადგენლად წამოგვყვა გასპარიანი. სადგურზე დავგვდნენ და მანქანებით წაგვიყვანეს სასტუმროში. გაირკვა, რომ შეჯიბრი გადატანილი 10-თვის იყო. რამაც ძალიან გაგვახარა, რადგან გვემატებოდა ერთი დღე დასასვენებლად.

10 ივლისი

სალამო გახსნა მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ქვეყნის ათგზის ჩემპიონმა, ორდენოსანმა მიხაილოვმა. შესავალი სიტყვის შემდეგ ყველა გამოვედით ცირკის არენაზე. შეჯიბრი კენჭისყრით დაიწყო. პირველ დღეს შემხვდა ტაშკენტის ჩემპიონი ფრანკი. თავიდან ვცდილობდი ხელები დამეზოგა დაზიანებისაგან. ვიგებდი ქულებით. ეფექტურ შეტევებს გავურბოდი, რადგან წინ კიდევ 7 უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე მყავდა.



ფრანკი ჩემზე დაბალი, მკვრივი მოკრივე იყო. ცდილობდა მოკლე მანძილზე მუშაობას, მაგრამ მე ახლოს არ ვუშვებდი. შეხვედრა იყო 5 რაუნდიანი. დამარცხებული უფლებას კარგავდა შეჯიბრის გაგრძელებაზე. ამიტომ დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. ბიძიანმა პირველ დღესვე წააგო. დვალმა მოუგო სვერდლოვულ ბოის. პირველი დღე კარგად დამთავრდა. დალლას არ ვგრძნობდი. ჩემთვის ეს შეჯიბრი უფრო ვარჯიშს ჰგავდა.

12 ივლისი

უკანასკნელ დღეს ერთმანეთს მე და პეტროვი ვხვდებოდით. პეტროვი იყო მაღალი. წონით 78 კგ. 10სთ.30 წთ. უკვე ცირკის რინგზე ვიყავით ორივე. მე გადავწყვიტე მემუშავა ინფაიტინგში (ახლო მანძილზე ჩხუბი), რადგან პეტროვი ჩემზე მაღალი იყო და ხელებიც უფრო გრძელი ქონდა. პირველი რაუნდი დაიწყო დაზვერვით. პეტროვმა უცებ დაიწყო შეტევაზე გადმოსვლა. მაშინვე მივხვდი, რომ მას ბრძოლის ბოლომდე გაგრძელების იმედი არ ქონდა. როდესაც მოკრივე ეკვეთება მონინალმდეგეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არა აქვს იმედი ბრძოლის ბოლომდე გაგრძელების და სურს ან მოიგოს უცებ ნოკაუტით ან არადა უარი განაცხადოს ბრძოლაზე. პირველ რაუნდში პეტროვმა შეძლო ძლიერი დარტყმის მოყენება, რამაც ცოტა არ იყოს ცუდ ხასიათზე დამაყენა. ამის შემდეგ პეტროვის ყოველი დარტყმა ჩემზე მოქმედებდა. პირველი რაუნდი პეტროვმა მოიგო, რადგან იგი უფრო აქტიური იყო. II რაუნდი დაიწყო ჩემი შეტევით. პეტროვმა კონტრშეტევით მიპასუხა და მარჯვენა ხელის დარტყმით დამაგდო ძირს. შემდეგ ნამოვმდგარიყავი, მაგრამ მყის გამახსენდა ბესფამილნი, რომელიც უცებ წამოდგა და კიდევ დავარდა მეორედ. შევისვენე 7 თვლამდე, რის შემდეგაც წამოვდექი, დავიცავი თავი და გადავედი შეტევაზე. პეტროვმა, რაც ძალი და ღონე ქონდა შემომიტირა. მას უნდოდა ნოკაუტი ჩაეტარებინა, მაგრამ მოტყუვდა ანგარიშში, მე თავს კარგად ვიცავდი და ვისვენებდი. მეორე რაუნდი პეტროვმა მოიგო, მაგრამ მე მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული მოგებაში.

III რაუნდი. ეხლა კი მოვიდა ჩემი ჯერი. გადავედი აქტიურ შეტევაზე. პეტროვს ეტყობა დალლა. მე ზედიზედ ერთი მეორის მიყოლებით ცხრა დარტყმა მივაყენე ისეთი სუფთა, რომ პეტროვი იძულებული შეიქმნა დამნებებულიყო. მსაჯმა აივაზოვმა ამინია ხელი და ჩემი გამარჯვება გამოაცხადა.

1943 წ. აგვისტო. მოსკოვი

კავშირის აბსოლუტური პირველობა

მონაწილეობენ კოროლიოვი, ოგურენკოვი, განიკინი, ნოვოსარდოვი, სტეპანოვი, ლუდუშაური. აი რა ინერებოდა გაზეთებში:

«Шесть сильнейших боксеров полутяжелого и тяжелого веса допущены к

розыгрышу абсолютного первенства СССР по боксу. Матчи на звание абсолютного чемпиона страны 1943 года начнутся 17 и закончатся 25 августа. Они состоятся в Колонном зале Дома Союзов. Соревнования рассчитаны на пять дней. Встречи будут состоять из 6 раундов по 2 минуты каждый. Среди участников состязания Заслуженные Мастера Спорта Королев, Огуренков, известные боксеры Ганыкин, Новосардов, Степанов, Гудушаури.

Вечерняя Москва 11 августа 1943 г

Вчера в Колонном зале Дома Союзов продолжались матчевые встречи на звание абсолютного чемпиона СССР по боксу.

Большой интерес вызвала встреча старшего лейтенанта Гудушаури с лейтенантом Степановым. Гудушаури не оказавший в первом круге серьезного сопротивления Николаю Королеву на этот раз сумел провести бой в наступательной тактике. Он показал большую силу своих ударов и решительность в атаках. Гудушаури сумел добиться победы над одним из сильнейших тяжеловесов страны _ Степановым.

Комсомольская правда 20 августа 1943 г

Вчера в Колонном зале Дома Союзов состоялся третий круг розыгрыша абсолютного первенства СССР по боксу. На ринге _ два мастера спорта известный боксер тяжелого веса Андро Новосардов (Динамо) и старший лейтенант Леван Гудушаури (Динамо) (полутяжелый вес).

В первые два раунда боксеры наносят друг другу легкие удары. Начиная с третьего раунда бой принимает довольно быстрый темп. Весь опыт Новосардова дает ему небольшое преимущество. В последнем раунде Гудушаури быстро идет в атаку. Раунд проходит в напряженном темпе. Победил все же Новосардов. В этом бою Гудушаури проявил себя с лучшей стороны.

Вечерняя Москва 26 августа 1943 г

1943 წ. ოქტომბერი. მოსკოვი. კავშირის აბსოლუტური პირველობა

კავშირის აბსოლუტური პირველობის გათამაშებაზე სულ დაშვებულ იყო 6 მოჭრივე: კოროლიოვი, ნოვოსარდოვი, სტეპანოვი, ოგურენკოვი, განიკინი და მე. აღნიშნული შეჯიბრი მეტად მნიშვნელოვანი იყო თვითეული მონაწილისათვის და მოითხოვდა სერიოზულ მომზადებას. მე და ნოვოსარდოვი მოსამზადებლად გადაგვიყვანეს სასტუმრო "ინტურისტში".

2 ოქტომბერი

თვითმფრინავით მოსკოვს გავემგზავრეთ მე და ნოვოსარდოვი, მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ნინო დუმბაძე, ლენა გოკიელი და ჩვენი მწვრთნელი გოლშტეინი. ძალიან ბევრი ინერებოდა პრესაში ჩვენ შეხვედრებზე. გაზეთ "კრასნი სპორტმა" გაიხსენა ჩემი



და კოროლიოვის შეხვედრა 1938 წელს და წერდა, რომ მაშინ მქონდა შესაძლებლობა მომეგო მისთვის, მაგრამ შესაძლებლობა ვერ გამოვიყენე და წავაგე. მე შევეცადე აღარ გამემეორებინა 1938 წლის შეცდომა 1943 წელს.

სალამოს 8 საათზე პროფკავშირების სვეტიბიან დარბაზში დაიწყო შეჯიბრი. შესასვლელ კარებთან აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი. პირველ ნყვილში გავედით მე და კოროლიოვი. მე თავიდანვე მტკიცედ გადავწყვიტე აქტიურ იერიშზე გადასვლა, მაგრამ აქაც კოროლიოვმა მაჯობა. გადაჭარბებულმა გამბედაობამ, სიფიცხემ მიმიყვანა ნოკაუტამდე. კოროლიოვმა გაიფუტა მარცხენა ხელი და შემდეგი შეხვედრები ვეღარ ჩაატარა. დავრჩით 5 მონაწილე.

18 ოქტომბერი

მე შევხვდი სტეპანოვს. წინასწარ გადავწყვიტე: ან სიკვდილი, ან გამარჯვება. პირველ დღეს მიღებული დამარცხება უნდა გამებათილებინა. ასეც მოხდა. პირველივე რაუნდიდან გადავედი შეტევაზე და სტეპანოვს არ ვაძლევდი საშუალებას გონს მოსულიყო. პირველი რაუნდიდან ბოლომდე ინიციატივა ხელიდან არ გამიშვია და მასთან ერთად გამარჯვებაც. შეჯიბრის შემდეგ ჩემთან მოვიდა ჩემი ამხანაგი ვანო მურადელი (კომპოზიტორი) და გამარჯვება მომილოცა.

19 ოქტომბერი

შევხვდი განიკინს, რომელიც ცნობილია თავისი ტაქტიკით, ტემპით, რითაც ღლის მოწინააღმდეგეს და იგებს ქულებით. მასთან საბრძოლველად შევიმუშავე ტაქტიკა - ცალკეული ძლიერი დარტყმები. დაიწყო პირველი რაუნდი, რომელშიც მარცხენა პირდაპირით განიკინს ვაგდებ იატაკზე. სუფთა ნოკდაუნშია. განიკინი მეკიდება და ცდილობს გონზე მოსვლას, მაგრამ მე საშუალებას არ ვაძლევ. განიკინი ისევ იატაკზეა. მე დავრწმუნდი, რომ განიკინი საბოლოოდ ნახდა. მთელი ძალღონე შევალიე, რომ განიკინი გამენადგურებინა, მაგრამ ამაოდ. განიკინი კატასავით იტანს ჩემს დარტყმებს და არ ვარდება. დამთავრდა მეორე რაუნდიც ჩემს სასარგებლოდ. ეჭვი არავის ეპარებოდა ჩემს გამარჯვებაში. დაიწყო მესამე რაუნდი. განიკინი მოდის ახლო მანძილზე და თავით მიხეთქავს წარბს. შეჯიბრიდან მხსნიან, ვინაიდან სისხლისდენა დიდი იყო და საჭირო იყო წარბის გაკერვა. ამგვარად უკვე ორი მონაწილე გამოვედით მწყობრიდან - მე და კოროლიოვი. დარჩნენ ოთხნი.

ფინალში საბოლოოდ გავიდნენ ოგურენკოვი და ნოვოსარდოვი. შეხვედრა საინტერესო იყო და დამთავრდა ოგურენკოვის სასარგებლოდ ქულეებით. ამგვარად 1943 წლის აბსოლუტური პირველობა მოიგო საშუალო წონაში ევგენი ოგურენკოვმა.

1944 წ. ქ. თბილისი.

საზოგადოება "დინამო"-ს საკავშირო პირველობა

«20 февраля в Тбилиси начнутся всесоюзные соревнования боксеров-динамовцев. В соревнованиях примут участие лучшие боксеры _динамовцы Москвы, Ленинграда, Украины, Грузии, Азербайджана, Армении и Среднеазиатских республик. В соревнованиях примет участие десятикратный чемпион 1940 года Михайлов. От Грузии в соревнованиях примут участие трехкратный чемпион страны Вартанов, Новосардов, занявший второе место в соревнованиях на абсолютное первенство 1943 года, Гудушаури, занявший в соревнованиях на абсолютное первенство 1943 года третье место, чемпионы республики в различных весовых категориях Горгаслидзе, Меладзе, Ханукаев, Каладзе, Шахпаронов, Аристаков и др».

Заря Востока, 1944г

«В Тбилиси в течении трех дней проводились всесоюзные соревнования боксеров спортивного общества «Динамо».

Наиболее подготовленными к ответственным встречам на ринге оказались боксеры Москвы и Тбилиси на долю которых и выпала большая часть побед. Отлично провел бой Заслуженный Мастер спорта трехкратный чемпион страны Вартанов. Вартанов завоевал звание чемпиона «Динамо» 1944 года в полулегком весе. Хорошую тренировку показал мастер спорта чемпион Грузии Горгаслидзе и завоевал звание чемпиона «Динамо» в легком весе. В наилегчайшем весе звание чемпиона завоевал молодой боксер Ханукаев (Тбилиси). В полутяжелом весе первенство в соревнованиях и звание чемпиона присуждено боксеру Гудушаури (Тбилиси), в полусреднем _ Меладзе (Тбилиси)).

Заря Востока 3 марта 1944 г

1944 წ. ივნისი. მოსკოვი

პირადი პირველობა

4 ივნისი

"დინამოს" სტადიონზე დაიწყო შეჯიბრი. პირველ დღეს შევხვდი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს მძიმე წონაში, რომელიც ამჟამად გამოდიოდა ნახევრად-მძიმე წონაში – ბელიაევს. ბელიაევთან მე მქონდა შეხვედრა 1936 წელს მოსკოვში, პროფკავშირების პირველობაზე, რომელიც წავაგე. ამჟამად ბელიაევმა ვერ გამინია წინააღმდეგობა და დიდი უპირატესობით მოვიგე ეს შეხვედრა.

6 ივნისი

შევხვდი ტაშკენტელ ფრანკს, რომელიც ასევე მოვიგე.

8 ივნისი

შევხვდი მოსკოველ ახალგაზრდა მოკრივეს ობლეზოვს, რომელიც მოვიგე.

11 ივნისი

ფინალში შევხვდი სტეპანოვს. აბსოლუტურ პირველობაზე ისეთი უპირატესობით მოვუგე, რომ ეჭვი არ მეპარებოდა ჩემს გამარჯვებაში. არც წამიგია, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვება მისცა სტეპანოვს. მე კი მეორე ადგილით "დამაჯილდოვეს". ამ გარემოებამ სპორტულ საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ სტეპანოვი აღიარებული იქნა საბჭოთა კავშირის 1944 წლის ჩემპიონად. ვფიქრობ კომენტარი ზედმეტია.

და ბოლოს ლევან ლუდუშაურის სპორტული კარიერის ზენიტი – 1945 წელი, როდესაც საბოლოოდ დაიმკვიდრა დედამიწის ერთ მეექვსედაზე პირველი ხელთათმანის ნოდება.

1945 წ. აპრილი. მოსკოვი

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა

თბილისის ნაკრებში შედიან: ნოვოსარდოვი, ლუდუშაური, დვალი, მელაძე, ვართანოვი, გორგასლიძე, ლუდუშაური, არისტაგოვი, ხანუკაშვილი, კალაძე, ტაბატაძე.

გაზეთები წერდნენ:

«На ринге боксеры полутяжелого веса. От команды столицы выступает возвращенный недавно на ринг Чудинов. Несмотря на все усилия, он не может вырвать победу у Гудушаури. Побеждает Гудушаури. Счет 10-2»

Тбилисские боксеры показали себя дружным высококвалифицированным коллективом сумевшим добиться победы над командой столицы»

Вечерняя Москва 24 апреля 1945 г

1945 წ. ივნისი. მოსკოვი

საბჭოთა კავშირის პირველობა

საქართველოდან მონაწილეობენ: ხანუკაევი, კალაძე, მესიანი, არისტაკოვი, მელაძე, გორგასლიძე, ლუდუშაური.

10 ივნისი

დილის 9 საათზე თბილისის აეროპორტიდან გავფრინდით მთელი გუნდი.

11 ივნისი

წითელი არმიის ბაღში გვქონდა პირველი ვარჯიში.

12 ივნისი

მე და ბორის მელაძე ვიყავით კინოთეატრ "უდარნიკში". ვნახეთ ამერიკული ფილმი "ბემბი".

14 ივნისი

წითელი არმიის პარკში ვნახე ახალი ფილმი "ჩარლის დეიდა".

15 ივნისი

ვიმუშავე პირველი სპარინგი მოსკოველ მოკრივე ლებედევთან, რომლის დროსაც დავიზიანე მარჯვენა ხელი, რომელიც აპრილის თვეში დავიზიანე ბაქოელ აშუმოვთან შეხვედრისას. ხელი ძალიან გამისივდა. წავედი ექიმ ბილდოვიჩთან. ნახა თუ არა, ხელი ჩაიქნია და მითხრა «Но все, о первенстве ты и не думай у меня». ბილდოვიჩის სიტყვებმა შემაფიქრინა. მე მაინც განვაგრძე ვარჯიში უხელთათმანოდ. ჩვენი გუნდიდან ორი მოკრივე ნოვისარდოვი და მელაძე უკვე ავადმყოფობდნენ. ამ გარემოებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია სპორტულ საზოგადოებაში - "ეშინიათ და ამიტომ არ გამოდიან". ასეთი ლაპარაკის შემდეგ ჩემი ავადმყოფობა შეუძლებელი იყო. გადავწყვიტე შეჯიბრზე გასვლა.

19 ივნისი

დინამოს სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი "დინამოს" და მოსკოვის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდები. ჩვენებმა წააგეს. ეს იყო მათი პირველი დამარცხება ამ სეზონზე. ჩვენები ლიდერები იყვნენ. საცოდავი ყოველი ქართველი, რომელიც დაესწრო ამ თამაშს. მაყურებლები სასტიკად აღიზიანებდნენ, დასცინოდნენ. ერთი რუსის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის შვილმა ჩიორა ბაქრაძემ მაიაკოვსკის მოედანზე სილა გაარტყა მავანს ქართველების დაცინვისთვის.

20 ივნისი

მე და ბორის მელაძე წავედით მოსკოვის საუკეთესო საზაფხულო ბაღში, სადაც მოვუსმინეთ ესტონეთის ჯაზ-ორკესტრს.

24 ივნისი

წითელ მოედანზე შედგა დიდი სამხედრო ალღუმი – გამარჯვების ალღუმი, რომელსაც ლებულობდა ლებულობდა საბჭოთა კავშირის მარშალი და სამგზის გმირი ყუკოვი, ხოლო ხელმძღვანელობდა მარშალი და ორგზის გმირი როკოსოვსკი.

ვნახე ჩვენ ჯგუფში გამომსვლელ მოკრივეთა სია.

ჩემი აზრით, ყველაზე სერიოზული მონინალმდევე ჩემთვის, არის იურჩენკო, რომელიც შარშან გამოდიოდა წარმატებით და მოუგო ლინომიაგინს. იურჩენკო ფიზიკურად ძალიან ძლიერია. თანაბარი სიძლიერით ურტყამს ორივე ხელით. ნელს გამოდის ნახევრად-მძიმე წონაში. მძიმე წონიდან გაურბის კოროლიოვს. მისი აზრით ჩვენ წონაში უეჭველი პირველობა აქვს. ვნახოთ "აღდგომა და ხვალეო".

29 ივნისი

ვნახე მოსკოვის თეატრალური მინიატურები "სადაც მოსკოვი".

1945 წ. ივლისი. ძ. მოსკოვი

საკავშირო გუნდური და პირადი პირველობა

საკავშირო გუნდურ პირველობაში ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანეს საქართველოს: ანდრო ნოვოსარდოვმა, 30 წლის, (მძიმე წონა), ლევან ლუდუშაურმა, 33 წლის, (ნახევრად-მძიმე წონა), შალვა დვალმა, 27 წლის, ბორის მელაძემ, 29 წლის, გიორგი ვართანოვმა, 32 წლის, შალვა გორგასლიძემ, 28 წლის, ედუარდ არისტაკოვმა, 23 წლის, გაბრიელ ხანუკაშვილმა, 21 წლის, ბორის კალაძემ, 29 წლის, გოდერძი ტაბატაძემ, 20 წლის. რა ბრწყინვალე შემადგენლობა და ასაკობრივი შერწყმა ტრადიციების გასაგრძელებლად!

1 ივლისი

ყველა "დინამოს" სტადიონზე ვიყავით ასანონად. სალამოს შეჯიბრი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ წვიმის გამო გადაიდო 2 ივლისისათვის. კენჭის ყრით შემხვდა სტეპანოვი. სალამოს მე, გოლშტეინი და მისი მეუღლე ნავედით წარმოდგენაზე. ვნახე "სილვა".

2 ივლისი

პირველ საათზე მივედი "დინამოს" სტადიონზე, სადაც დანიშნული იყო მოკრივეთა ანონვა. ავიწონე და ჩამოვედი სახლში დასასვენებლად. სალამოს 7 საათზე მთავარმა მსაჯმა ფრენკინმა გახსნა შეჯიბრი. მე შევხვდი სტეპანოვს. ეს სტეპანოვი ძმაა იმ სტეპანოვისა, შარშან საეჭვო გამარჯვება და მასთან ჩემპიონის სახელი რომ მიანიჭეს. 1945 წლისათვის აღარ გამოდიოდა, რადგან ძალიან ძლიერი მოკრივეები იყვნენ ნელს

ჩვენ წონაში თავმოყრილი. ხელის ტკივილი მოიმიზეზა და უარი თქვა გამოსვლაზე. სინამდვილეში კი ეშინოდა, განსაკუთრებით იურჩენკოსი, რომელმაც ძალიან ცემა გასული წლის აბსოლუტურ პირველობაზე. ანატოლი სტეპანოვი არასოდეს მენახა. ამიტომ ბრძოლა პირველი რაუნდიდანვე ფრთხილად დავიწყე მარცხენა ხელით. მარჯვენა ხელით სრულებით არაფრის გაკეთება არ შემეძლო. სტეპანოვს ეშინოდა, ვერ გადმოდოდა იერიშზე. მეორე რაუნდიდან უკვე დავიწყე აქტიური შეტევა. მესამე რაუნდში გავაძლიერე შეტევა და ლამაზად მოვიგე შეხვედრა.

4 ივლისი

მე უნდა შევხვედროდი კოგანს, რომელმაც უარი განაცხადა გამოსვლაზე ხელის დაზიანების გამო. იურჩენკო შეხვდა კაცს. მაგარი და დაძაბული შეხვედრა მოუგო მას, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. სალამოს გაზეთი "ვეჩერნაია მოსკვა" ხოტბას ასხამდა კაცს და ასახელებდა მას, როგორც "ჭკვიან ტაქტიკოსს". სტეპანოვმა ფრიად საეჭვო გამარჯვება მოიპოვა სალონგზე. უნდა აღინიშნოს, რომ სტეპანოვს ძალიან "ექაჩებოდნენ" საერთოდ. არ ვიცი, რით ავსხნა ეს მდგომარეობა. შეიძლება იმით, რომ მისი ძმა ვიქტორი კრივის საკავშირო სექციის თავმჯდომარეა, თუ სხვა მოტივით. ერთი კი აშკარაა – მან შეხვედრა ვერ მოიგო. სალონგმა მოუგო იურჩენკოს და იურჩენკო გამოეთიშა შეჯიბრს, როგორც ორჯერ ნაგებული. მე შეხვდი კაცს. ჩემთვის ეს საფინალო შეხვედრა იყო, რადგან დანარჩენებს არ ვთვლიდი საშიშ მონინაალმეგებად. როდესაც კაცი მუშაობდა იურჩენკოსთან, კარგად შევისწავლე მისი "სტილი" და შევიმუშავე ბრძოლის ტაქტიკა, რომელიც აგებული იყო მხოლოდ მარცხენა ხელის მუშაობაზე და სისწრაფეზე. საერთოდ კაცი "ყრუდ დაცული" მოკრივეა («глухая защита»). მისი გახსნა ძლიერი დარტყმით ძალიან ძნელია. მასთან ძალით მუშაობა ნიშნავს დახარჯო უშედეგოდ მთელი ძალა, დაიღალო და წააგო შეხვედრა. გადაწყვიტე მასთან "მემუშავა" მხოლოდ ქულების დაგროვებაზე, სუსტი, მარცხენას პირდაპირი დარტყმით. ჩემს მიერ შემუშავებული ტაქტიკის უპირატესობამ პირველ რაუნდშივე იჩინა თავი. კაცი ძალიან ცდილობდა მოეხვია ჩემთვის მისი საყვარელი ტაქტიკა, სოლისებურად შემოჭრილიყო ჩემს თავდაცვაში, დაველაღე და წამეგო, ისე, როგორც მან იურჩენკოს მოუგო. მაგრამ ჩემთან მან ეს ვერ შეძლო და შეხვედრაც წააგო. მეორე დღეს "ვეჩერნაია მოსკვამ" შეცვალა ტონი და დაწერა «Гудушаури с начала до конца боя был хозяином ринга» (Красный спорт).

10 ივლისი

ხელი უფრო ამტკივდა, რადგან ვერ შევძელი მისი დაცვა და ბრძოლისას გამოვიყენე. დამრჩა უკანასკნელი საფინალო შეხვედრა სალონგთან. ჩემი



სპორტული ცხოვრების მანძილზე ყველაზე ძვირფას და დაუვიწყარ მოგონებად დამრჩა 1945 წელი, საბჭოთა კავშირის ფინალური შეხვედრა ესტონეთის ჩემპიონთან ბერნარდ სალონგთან, რომელსაც ესწრებოდა სტალინი და მისი იქ ყოფნა ძალას და ენერგიას ერთი ათად მმაცებდა.

11 ივლისი

"დინამოს" სტადიონი, სადაც ტარდებოდა ჩვენი შეჯიბრი, სავსე იყო მაყურებლებით. საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოკრივეები იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელის მოსაპოვებლად. განსაკუთრებული დაძაბულობით ტარდებოდა უკანასკნელი შეხვედრები. თვითეული მონაწილე ღელავდა. მათ შორის მეც. მართალია ძირითადი მოქიშპენი უკვე ჩამოვიტოვე, მაგრამ კრივეში ყოველივე მოულოდნელობა უნდა გაითვალისწინოს მოკრივემ. საკმარისია ერთი მოხდენილი დარტყმა, რომ ყველაფერი ამოიწუროს. ყველაფერი ავწონ-დავწონე და შევადგინე ჩემი ბრძოლის ტაქტიკა, რა თქმა უნდა აგებული ისევ ერთ მარცხენა ხელზე. მთავარმა მსაჯმა გამოაცხადა ჩვენი გვარები. სეკუნდანტებმა დაგვტოვეს. პირველი რაუნდი დაიწყო დაზვერვით. ორივე ვფრთხილობთ. ერთმანეთს ვხვდებით პირველად. რაუნდის ბოლოს ვუმატებ თავდასხმას. "ერთი დარჩა", მეძახიან ჩემი სეკუნდანტები გორგასლიძე და მესიანი, რომლებიც წინასწარ მყავდა გაფრთხილებული. ამ ერთ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მსაჯზე სულ სხვა გავლენას ახდენს რაუნდის ბოლო წუთები. გადავედი შეტევაზე ყველა საშუალებით ვცდილობდი, რომ რაუნდი მომეგო. გონგმა სალონგის კუთხეში მოგვისწრო. მე სწრაფად ვბრუნდები ჩემს კუთხეში. "კარგია, რაუნდი შენია", მეუბნება გორგასლიძე. თავს კარგად ვგრძნობ. მარჯვენა ხელს ჯერ არ ვხმარობ. მეორე რაუნდიდან უნდა ვიხმარო, როგორც არ უნდა მტკიოდეს, რადგან უკანასკნელი შეხვედრაა. დაიწყო მეორე რაუნდი. რამოდენიმე მარცხენა ხუკი კარგად გავატარე სახეში. სალონგი ცდილობს ინფაიტინგში შემოსვლას, მაგრამ ვერ ახერხებს. მე ტემპს უმატებ და არ ვაძლევ შესვენების საშუალებას. სალონგი უმოძრაო ხდება, ინიციატივა დაკარგული აქვს, ვგრძნობ ყოველივეს და ვუმატებ ტემპს, მოვიხმარე მარჯვენაც. მტკივა, მაგრამ არ ვეპუები. "ერთი დარჩა, მიდი", მესმის კვლავ და გადავდივარ შეტევაზე. ინფაიტინგი მივიღე და მოხდენილ სერიებს ვატარებ. გონგმა რინგის ცენტრში მოგვისწრო. ვგრძნობ, რომ კარგად მოვიგე რაუნდი. "კარგია ლევან, ეგრე განაგრძე, ხელი როგორა გაქვს", მეკითხება გორგასლიძე. "მტკივა, მაგრამ არა უშავს". ვუპასუხე მე. «Секунданты, оставьте бойцов», გაისმა მსაჯის ხმა. «Последний раунд», კვლავ განაგრძო მსაჯმა და ორივენი მოწყვეტილები ვეძგერეთ ერთმანეთს. არაფერს არ ვზოგავთ. სალონგს სუნთქვა მოეშალა და ქოშინი დაიწყო. მე ტემპს ვუმატებ. სალონგის დარტყმებს სისწრაფე აღარა აქვს. იგი უკვე საშიში არაა. დაღლას ვერ ვგრძნობ. ენერგია მაქვს და თავს აღარ ვზოგავ. სალონგი იმდენად დაიღალა, რომ წინასწორობას კარგავს.

"მიდი ლევან, დაიღალა", მესმის მაყურებლებიდან. არაფერი აღარ მესმის ვხედავ მხოლოდ სალონგს. სპორტულმა ინტერესმა დამმუხტა. სალონგმა უკვე მოგების რწმენა დაკარგა და ხელებზე მეკიდება, ცდილობს ტემპი შეანელოს, მაგრამ მე ვუსხლტები და დარტყმების სერიას ვუტარებ მუცელში. გონგმა ორივე გაგვაშველა. ოდნავ შევჩერდით. უსიტყვოდ შევხედეთ ერთმანეთს და ღიმილით გავეშურეთ ჩვენ ჩვენ კუთხეში. გორგასლიძე რინგზე შემოვარდა და გადამოცნა. რეფერმა ყველა მსაჯს ჩანაწერი გამოართვა და მთავარი მსაჯისკენ გაემართა. მცირედი პაუზის შემდეგ რეფერმა ორივე მოკრივე მოგვიხმო რინგის ცენტრში, ჩაგვავლო ორივეს ხელებში ხელი. მთავარმა მსაჯმა მიკროფონით გამოაცხადა «Победу и звание чемпиона Союза СССР по боксу в категории полутяжелого веса завоевал Леван Гудушаури». მე და სალონგმა კიდევ ერთხელ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი და გავემართეთ გასახდელისკენ. მაყურებლები ტაშის ცემით მაცილებდნენ შესასვლელამდე. გასახდელში მიცდიდა ჩემი მწვრთნელი გოლშტეინი, რომელიც გადამეხვია, მაკოცა და მომილოცა ჩემი სპორტული კარიერის მე-15 წლისთავზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება. ნუ დაგავინყდებათ, რომ არა მარტო მოკრივესათვის, არამედ საერთოდ სპორტისათვის, 33 წლის ასაკში, მიაღწიო იმას, რასაც ლევან ლუდუშაურმა მიაღწია – წარმოუდგენელია, მითუმეტეს კრივში. ამ წოდებისთვის იბრძოდა ქვეყნის უძლიერესი 64 მოკრივე.

5 წუთის შემდეგ ყველა მონაწილე გამოგვიძახეს, ჩავდექით მწკრივში და გაგვიყვანეს კვლავ მოედანზე, სადაც დაჯილდოება მიმდინარეობდა. მთავარი მსაჯის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ საკავშირო ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტთან არსებული ძალოსანთა განყოფილების უფროსმა პუსტოვალოვმა ყველა გამარჯვებულს საკავშირო ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტის სახელით გადმოგვცა მაჯის საათები და პირველი ხარისხის სიგელები. საათზე იყო შემდეგი წარწერა: «**Чемпиону СССР по боксу в полутяжелом весе 1945 г.**» სიგელზე კი ეწერა: «**Всесоюзный комитет по делам физической культуры и спорта при Совнаркомѣ награждает тов. Гудушаури Л. Е. занявшего 1 место в личном первенстве СССР по боксу в категории полутяжелого веса. Тов. Гудушаури присваивается звание Чемпион СССР по боксу на 1945 год**»

Председатель Всесоюзного Комитета по делам физической культуры и спорта при Совнаркомѣ СССР Романов

Москва, 10 июля 1945 г.

17 ივლისი

გამოვიდა გაზეთი "კრასნი სპორტ"-ი, რომელშიც მოთავსებული იყო ყველა ჩემპიონის კარიკატურა და შედეგები, წარწერით «8 чемпионов». პირველი იყო კოროლიოვი, მეორე მე, მესამე – ოგურენკოვი, შემდეგ შჩერბაკოვი, პუშკინი, კნიაზევი, ავდეევი და სეგალოვიჩი. მე დახატული ვიყავი სასწორზე, ანეული ხელით. სასწორზე გირების ნაცვლად ეწერა «Победа, победа, победа». კარიკატურა ეკუთვნოდა მხატვარ უზბიაკოვს.

ამავე გაზეთში იყო მსაჯი გასპარიანის სტატია ჩემი და სალონგის შეხვედრის შესახებ, რომელიც წერდა: «Физический сильный, опытный Гудушаури начинает бой осторожно разведкой, изредка наносит сильные крюки левой рукой. Салонг отвечает на эти атаки двумя-тремя ударами и затем боксеры сближаются для боя в плотную. С самого начала чувствуется преимущество тбилисца. Оно проявляется в ближнем боксе, где Гудушаури наносит больше ударов. Гудушаури ведет атаку, его удары сильнее и чаще достигают цели. Салонг упорно пытается сопротивляться, но Гудушаури выигрывает все раунды, бой и звание чемпиона» (Красный спорт, 17 июля 1945г.)

გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდაში" მოთავსებულია გრადობოლოვის წერილი, რომელიც წერს: «В этой весовой категории победителем вышел Леван Гудушаури, атлетический сложенный боксер обладающий сильным ударом. Гудушаури не молодой боксер, на ринге он выступает 15-ый год. У него твердо установившийся силовой стиль боя» (Комсомольская правда, 14 июля 1945 г.)

«Боксеры называют соревнования на первенство СССР _ Большим рингом _ Вчера на стадионе «Динамо» закончились такие соревнования Большого ринга _ 12-е первенство страны - 64 сильнейших мастеров кожанной перчатки разыграли восемь красных маек чемпионов.

За все дни ринга состоялось 141 боевая схватка.

На ринге полутяжеловесы Леван Гудушаури (Тбилиси «Динамо») и Бергард Салонг (Таллин «Спартак»). Тбилисец резкими, сильными ударами, особенно левой рукой, каждый раунд заканчивал в свою пользу. Победа и звание чемпиона СССР даны одному из старейших мастеров Грузии» (Комсомольская правда, 17 июля 1945 г.)

ამ გამარჯვებამ საბოლოოდ დაუმკვიდრა ადგილი სპორტის ისტორიაში ლუდუშაურს. კიდევ ერთხელ შეარჩინა ამავე წლის ნოემბერში ქვეყნის ოთხი უძლიერესი მოკრივე – ნიკოლაი კოროლიოვი (მოსკოვი), ანდრო ნოვოსარდოვი (თბილისი), მარტინ ლინამიაგი (ტალინი) და ლევან ლუდუშაური (თბილისი) ქვეყნის უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად. კიდევ ერთხელ აჟღერდა საქართველოს სახელი ხმამაღლა. კიდევ ერთხელ ჩაუსახა ქართველ გულშემატკივარს სიამაყის და რწმენის იმედი, კრისს კი - ლამაზი კრივის წუთები.

და მაინც რა იყო ლევან ლუდუშაურის და მისი თაობის კრივი?

ტექნიკა, მოძრაობის მეცნიერება, შრომა, ძალა, ხელოვნება, სილამაზე, გამარჯვების და ახალგაზრდობის ზეიმი, თვითდამკვიდრება, ბრძოლის ჟინი, ძიება შეუცნობელის, პოლიტიკა - თუ ყველაფერი ერთად?

მიეზლოთ მათ მათი წილი აღიარება!

მათ ეს დაიმსახურეს!

“მრავალგვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა, სიდიდე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭს, ღონესა, მიდრეკილებას და ვინ როგორ უძღვება. თვითონ საქმის მეტნაკლებობა არაფერ შუაშია, დიდი და პატარა სულერთია, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩასჭიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება. უმისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია”.

დიდი ილიას ეს ნათქვამი ზოგადად ადამიანის დანიშნულებას ეხმიანება და ესადაგება, ლუდუშაურთა საგვარეულოს ერთ-ერთი ღირსეული კაცის საქმიანობას, რომელმაც თავის არჩეულ საქმეს არც ნიჭი და არც ღონე დააკლო და საგვარეულოს ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

ლევან ლუდუშაურმა მძიმე, საინტერესო და სახელოვანი გზა განვლო ხევის პატარა სოფელ სნოდან მსოფლიოს მეექვსედი ნაწილის უმაღლეს კვარცხლბეკამდე. იგი კრივის ნამდვილი მშვენიერება იყო, ტყავის ხელთათმანის უბადლო ოსტატი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე საქართველოში კრივის ჩამოყალიბების და განვითარების საქმეში მთელი ეპოქა შექმნა. მისი ვაჟკაცური გამოსვლები რინგზე სიამაყის გრძნობით აღავსებდა არა მარტო მშობლიურ ხევს, არამედ კრივის ყველა მოყვარულთ.

თავის ავტობიოგრაფიაში ლევან ლუდუშაური ასე გვამცნობს:

„დავიბადე 1912 წლის 6 ივნისს, ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში, ოჯახში, რომელიც შვიდი სულისაგან შედგებოდა: მამა – ესტატე ივანესძე ლუდუშაური, დედა – სოფიო გომიაშვილი და ხუთი ვაჟიშვილი – ვასო, პავლე, ირაკლი, ლევანი და არჩილი.

მამა, პატიოსანი, შრომისმოყვარე, კეთილი კაცი იყო. ფიზიკურად ძალიან ძლიერი, ერიდებოდა სასმელს და თუთუნს. საკუთარმა, ობლობაში გატარებულმა წლების გამოცდილებამ იგი იძულებული გახადა ეზრუნა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე „საბელზე დასაწყობი ხიზნის მომავალზე“.

ცუდი დრო იყო – პირველი მსოფლიო ომი, ოქტომბრის რევოლუცია, სამოქალაქო ომი, შიმშილი და გაჭირვება. ამ მოვლენებმა ჩვენ ოჯახს თავისი დალი დაასვა. მამა იძულებული იყო ოჯახით ვლადიკავკაზში (ორჯონიკიძე) გადასულიყო. მამამ და უფროსმა ძმამ გერმანელების ვერცხლის „ზავოდში“ დაიწყეს მუშაობა. პატარები ქართულ ხუთწიანი სკოლაში შევეუდეთ სწავლას. სკოლის მმართველი გახლდათ ქართული ეკლესიის მღვდელი, დიდად განათლებული და ქართველების უანგარო მფარველი – გიორგი ნათაძე, რომელსაც მადლიერების გამოსახატავად ქართველები „მამა გიორგის“ ეძახდნენ. დრო გადიოდა, ოჯახს საზრუნავი ემატებოდა. იძულებული გავხდით, 1921 წელს, კვლავ ახალ ადგილას – ქისტების სოფელ ლიანოვების „ხუტორში“ გადავსულიყავით. მათ ძალიან

კეთილად მიგვიღეს, დააფასეს მამის ალალი შრომა, დაგვაბინავეს, შეგვიქმნეს ცხოვრების ნორმალური პირობები. ამასობაში, უფროსი ძმის პავლეს დახმარებით, რომელიც უკვე თბილისში იყო, 1927 წელს, ჩვენც ქალაქში ჩამოვედით.

ამ პერიოდში, მთიანი რაიონებიდან ახალგაზრდების გარკვეულმა ნაწილმა სვანეთიდან, ხევსურეთიდან, ფშავიდან, მთიულეთიდან, ხევიდან და სხვა მთიანი რაიონებიდან, დაიწყო მასიური ლტოლვა სწავლა-განათლებისაკენ. ჩამოვიდნენ თბილისში და დაენაფნენ ახალ ცხოვრებას. ამ ახალგაზრდების მატერიალური ხელშეწყობისა და დახმარების მიზნით თბილისში ჩამოყალიბდა მთიელთა კულტურული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე იყო კავშირგაბმულობის მინისტრი ალექსი ყამარაული. ამ საზოგადოებამ საკმაოდ დადებითი როლი შეასრულა ნიჭიერ მთიელ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის და მათი პიროვნული ჩამოყალიბების საქმეში, რომელთა შორისაც იყვნენ, დღეს უკვე კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწეები – ძმები როსტომ და ვანო შადურები, პოეტი ალექსი გომიაშვილი, უნიჭიერესი ფილოლოგი პავლე ლუდუშაური.

პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1932 წელს, დავამთავრე ამიერკავკასიის ელექტროტექნიკუმი რადიოს განხრით. ტექნიკუმში სწავლის პერიოდში, ჩემს ცხოვრებაში მოხდა ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა.

კოტე მარჯანიშვილი ახალი ჩამოსული იყო ქუთაისიდან, იგი თეატრში დგამდა წარმოდგენას „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, სადაც უნდა შესრულებულიყო ფიზიკურ ილეთებზე აგებული ორი ცეკვა „ბოსტონი“ და „ტანგო“. ამისათვის ეძებდნენ ფიზიკურად ძლიერ შემსრულებელს. ქუჩაში შემთხვევით შემარჩიეს და მიმიყვანეს მასთან. კოტე მარჯანიშვილი ჩემთვის, როგორც მრავალთათვის, იდეალი იყო. მან შემხედა და გასცა განკარგულება „Разденье его“. ამიყვანეს გასახდელში მეორე სართულზე, გამხადეს, ჩამაცვეს კოსტიუმი, რომლითაც უნდა გამოვსულიყავი და ჩამიყვანეს კოტესთან, რომელმაც გვერდში მომიყენა ცაცა მამულია, შეგვხედა ორივეს და თქვა „Приступайте к репетиции“. გენერალურ რეპეტიციაზე კოტე იჯდა პარტერში. ცეკვის დასასრულს, როდესაც იატაკიდან ორივე ხელით ავიტაცე ცაცა მამულია და გაშლილ მკლავებზე განოლილი გავედი კულისებში, მომესმა კოტეს ხმა „Молодец Гудушаური“ ეს თეატრის ყოველი მუშაკისათვის უდიდესი ქება იყო, მითუმეტეს ჩემთვის, რომელსაც თავი სიზმარში მეგონა. საღამოს „ჰოპლას“ პრემიერა იყო დანიშნული, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებდნენ შალვა ლამბაშიძე, გიორგი შავგულიძე, კოტეს მეუღლე ელენე დონაური, გომელაური, ჭიჭინაძე და სხვები. როდესაც ცეკვა დაეასრულე და გავედი კულისებში, დარბაზში ატყდა მქუხარე ტაში, რაც ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ეს ცეკვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, აგებული



იყო უფრო გლადიატორულ ილეთებზე. ყოველი მოძრაობა გათვლილი იყო ძალისმიერ ილეთზე და მეც ალბათ ამიტომ მხვდა წილად მისი შესრულება. ეს იყო ჩემი პირველი ზიარება ხელოვნებასთან. თეატრმა გამიტაცა. კოტეს ყურადღება მივიქცეი, რომელმაც „ჰოპლას“ შემდეგ მომცა პატარ-პატარა ეპიზოდური როლები ისეთ პიესებში, როგორც იყო „ოტელო“, „ჯოის სტრიტი“, „როგორ“, „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „ანათეთ ვარსკვლავნო“ და სხვა პიესებში. მალე, ახალგაზრდა მსახიობთაგან შემიყვანა თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრად, რაც ჩემთვის დიდ პატივად მივიღე. უსაზღვროდ ვაფასებდი კოტეს ასეთ ყურადღებას. თეატრში მუშაობის პერიოდში მინვეული ვიყავი კინოსურათ „არშაულას“ გადაღებაზე, მთავარი როლის შესასრულებლად, რეჟისორ რონდელის მიერ. მაგრამ კოტემ არ გამიშვა.

1934 წელს, კოტე მარჯანიშვილი მინვეული იყო მოსკოვის თეატრში, სადაც იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ფერულადქცეული დაგვიბრუნდა კოტე თბილისში. კოტეს გარდაცვალება დიდად განიცადა საქართველოს ინტელიგენციამ და თეატრალურმა საზოგადოებამ. თეატრში დაიწყო ბრძოლა მარჯანიშვილის ადგილისათვის. ამ გარემოებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა და დამაფიქრა ჩემს მომავალზე.

ტექნიკუმში სწავლის პერიოდში, ჩემმა ამხანაგმა, კოტე ლოლაძემ, მითხრა, რომ დადის კრივის სექციაში, სადაც დიდი წარმატებით გამოდის. მან მიმიპატიჟა სავარჯიშო დარბაზში, რომელიც მაშინ მდებარეობდა რუსთაველის გამზირზე, პროფკავშირების სახლში (შემდგომში სასტუმრო „თბილისი“). დარბაზში, როგორც მაყურებელი, არ შემიშვეს. შესვლის უფლებას მაძლევდნენ იმ შემთხვევაში, თუ სექციაში ჩავენერებოდი. მანამდე არც კრივი მქონდა ნანახი და არც ვარჯიშის სურვილი მქონდა. მივედი მხოლოდ იმიტომ, რომ მენახა ამხანაგის „ჩხუბი“, თუ როგორ „სცემს“ იგი სხვებს. ჩამაცვეს ხელთათმანები და „მაჩხუბეს“. „მამუშავეს“, როგორც თავად ამბობდნენ, ჩემს ამხანაგთან, რომელმაც იქ მიმიყვანა. მწვრთნელმა, ალექსანდრე გოლშტეინმა (ძია სანია), მომიწონა „ჩხუბი“ და მიმინვია სექციაში. შექებამ წამახალისა და დავიწყე ვარჯიში. ამ პერიოდში თბილისში მწვრთნელად მოიწვიეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი საშუალო წონაში იაკობ ბრაუნი. იმის გრძნობამ, რომ „ვჩხუბობ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან და არ ვგრძნობ სიძნელეს და დალლას ვარჯიშის დროს, სიხალისე შემმატა.

ერთ საღამოს, რუსთაველის გამზირზე სეირნობის დროს, ავიხედე კრივის დარბაზში და სინათლე რომ დავინახე, ავედი ზევით. დარბაზი სახსე იყო ხალხით. რინგზე მიდიოდა შეჯიბრი. მეც მოვძებნე ჩემთვის ადგილი და ჩამოვჯექი ფანჯარაზე. რინგზე მსაჯობდა გოლშტეინი, რომელმაც მიმიხმო და მკითხა „იმუშავებ? გინდა გამოხვიდე?“. იმდენად გამოუცდელი ვიყავი, რომ არც მიფიქრია ვისთან, ან რას წარმოადგენდა

ჩემი მონინალმდეგე. როგორც გამოირკვა, იგი ყოფილა ამიერკავკასიის ჩემპიონი, რომელთანაც გამოსვლაზე ყველას უარი უთქვამს და მე, როგორც გულუბრყვილო და გამოუცდელი, დავეთანხმე. ეს იყო ჩემი მეორე შეხვედრა. არავინ მიცნობდა. დამაყარეს სიცილი და მომძახეს “თავი ხომ არ მოგბეზრებია?”.

დაიწყო პირველი რაუნდი. მონინალმდეგე გადმოვიდა შეტევაზე და ძლიერად დამარტყა პირდაპირ მარჯვენა თვალში და მომეჩვენა, თითქოს მთელი რინგი ჩემი მონინალმდეგის სახით აივსო. მე “გროგში” ვიყავი და ფეხზე ძლივს ვიდექი. თავი გავიქნიე, მოვიკრიბე ძალღონე და როდესაც ერთი მონინალმდეგე დარჩა რინგზე, დავინყე უსისტემოდ ხელების ქნევა, დაჭრილი დათვივით ვეძგერე, წავედი მისკენ. უცებ დავინახე, რომ ჩემს წინ იატაკზე კაცი ფართხალებს. დათვალეს ათი, მაგრამ გრძნობაზე ვერ მოვიდა. მაყურებლები რინგზე შემოიჭრნენ, ამიტაცეს ხელში და ისე გამიყვანეს რინგიდან. ყველა მილოცავდა გამარჯვებას.

1934 წელი. თბილისში, ველოდრომზე, ტარდებოდა შეჯიბრი საქართველოს და სომხეთის მოკრივეებს შორის. ჩვენი გუნდიდან ყველამ წააგო. როდესაც რინგზე გავედი, მომესმა ჩვენი გულშემატკივრების შეძახილები. მონინალმდეგე ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ ტექნიკურად სუსტი აღმოჩნდა. რამდენიმე დარტყმის შემდეგ, რინგის თოკებს შორის გაძვრა! მან უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. შეჯიბრის შემდეგ ჩემთან მოვიდა ქართული ტანვარჯიშის ფუძემდებელი გიორგი ეგნატაშვილი. გადამკოცნა, მომილოცა გამარჯვება და მითხრა “ლევან, დღეს მხოლოდ შენ “გვასახელე”.

ამრიგად, ყველა ჩემს გატაცებას კრივმა დაძლია. იგი სამუდამოდ გახდა ჩემი სტიქია.

1934 წელს შევედი ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე “ფრიაღზე” ინჟინერ-არქიტექტორის სპეციალობით.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ვთამაშობდი ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდში, სადაც თამაშობდნენ ჩვენი სასიქადულო ფეხბურთელები: ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, გ. ვაჩნაძე, ა. ყალიჩავა, ა. კიკნაძე, შ. მინაევი და სხვები.

კრივში კი წარმატებას წარმატება მოსდევდა. სპორტული კარიერის მთელ მანძილზე იგი საუკეთესოთა სამეულის ბრწყინვალე ვარსკვლავი იყო.

ლევან ლუდუშაური მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ახალგაზრდობაში მას კონსერვატორიის პროფესორი შულგინა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა კარგი სმენისა და ხმის ლამაზი ტემბრის გამო. ეს მონაცემები მან ომის დროსაც გამოავლინა. ომის დროს იგი მოსკოვს იცავდა. განაწილებული იყო “მასკიროვოჩნაია როტაში”

მოსკოვის ახლოს, როგორც იჩქინერ-არქიტექტორი.

მოვიშველიებ ამონარიდს მისი დღიურიდან.

“ლამის პირველი საათიდან დილის 5 საათამდე გაგრძელდა სანგრის შენობა. 5:30 წუთზე ვისაუბმეთ. არასოდეს ძილის სიტკბო ისე არ მიგრძვნიდა, როგორც ამჯერად. პირველად ვიგრძენი სუსხი ჯარისკაცის ყოფაში. მთელი ღამე წვიმის ქვეშ ვიდექით საგუშაგოზე. სველი ტანსაცმელი გამოვიცვალე და მაშინვე დასააძინებლად წავედი. კარავში შევედი, მაგრამ რას ვხედავ, ჩემი საწოლიც სველი იყო. ბევრი ვიტრიალე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ბოლოს იძულებული ვიყავი სველი ტანსაცმლით დავწოლილიყავი. ღამის 2 საათზე ველარ გავუძელი სიცვივს. ავდექი და გამოვედი მინდვრად. დილამდე სირბილსა და მოძრაობაში გავატარე.

დილის 7 საათზე მქონდა შენობის პრაქტიკული მეცადინეობა. ხელმძღვანელმა მოროზოვმა დაგვყო ჯგუფებად და თითოეული გვარი ჩაიწერა წიგნაკში. როდესაც რიგი ჩემი გვარის ჩაწერისა მოვიდა, მკითხა: “მოკრივე ღუდუშაური შემთხვევით თქვენი ნათესავი ხომ არ არის?” მე გამეცინა და ვუპასუხე: “დიახ, ნათესავია”, რატომ იცინით?” იკითხა. “თვითონ არის – ჩაერთო ჩემი ამხანაგი გივი ჩაჩხიანი, “ნუთუ? თქვენ ხომ ჩემპიონი ხართ. მე ვუყურე თქვენს შეხვედრას ბელიაევთან, ყოჩაღ!”

სალამოს 8 საათია. ქართველმა ბიჭებმა შალიკო ყორყოლაძემ, ბოკუჩავამ, შარაშენიძემ, ირაკლი ციციშვილმა (დიახ, გმირი ირაკლი ციციშვილია), გივი ჩაჩხიანმა და მე მოვიყარეთ თავი ჩვენს კარავში და ნელი ხმით დავიწყეთ “ციცინათელა” და “სულიკოს” სიმღერა. ამ დროს გამოიარა ჩვენი ბატალიონის უფროსმა მაიორმა გონჩაროვმა, რომელსაც ძალიან მოსწონებია ჩვენი სიმღერა. სალამოს 10-ზე დამიძახა. ერთი კი გავიფიქრე, ნეტა რა უნდა – მეთქი, მაგრამ ბევრი ფიქრის დრო არ მქონდა. გონჩაროვი ძალიან მკაცრი იყო და მისი გვარის გაგონება შიშის ზარს გვცემდა რიგითებს. შევედი და მოვახსენე: “ამხანაგო მაიორო! კურსანტი ღუდუშაური თქვენს გამოძახებაზე მოვიდა”... “ამხანაგო ღუდუშაური, თქვენ მოგინევთ მოამზადოთ ქართული გუნდი თვითმოქმედი კონცერტისათვის”.

სალამოს მეცადინეობის შემდეგ შევკრიბე ქართველი ბიჭები. მშვენიერი გუნდი შეიკრა 20 კაცის შემადგენლობით. ბანაკში აღმოჩნდნენ კარგი მოცეკვავეები გუგული მგალობლიშვილი, მიშა ნათიძე. შევადგინე პროგრამა და დავიწყეთ მზადება.

შემდეგ სალამოს შედგა ჩვენი ბანაკის სალამო-კონცერტი. სახელდახელოდ გუნდისათვის მოსკოვიდან ჩამოგვიტანეს ჩოხა-ახალუხი. მოვირგეთ ეროვნული ტანსაცმელი და გამოვედით მეორე განყოფილებაში. დამსწრე ქართველებისათვის ისინი იყვნენ აკადემიის მსმენელები, მათ შორის ჩვენი ლექტორებიც, ჩვენი გამოსვლა ბევრს ნიშნავდა. კონცერტი დავამთავრეთ

ცეკვებით. მესამე განყოფილება სპორტული იყო. მასში მონაწილეობას მოკრივეები იღებდნენ, მათ ხელმძღვანელობდა სარატოვის ჩემპიონი მასლოვი. ორი წყვილის გვარები გამოაცხადეს. მასლოვზე კი თქვეს, მეტოქე არ ჰყავსო და ამიტომ მისი გამოსვლა სალამოზე შეუძლებელ იყო. ეს რომ გაიგეს, შემომეხვივნენ ქართველები და დამინყეს ხვეწნა. მე ბანაკში არ ვამხელდი, რომ მოკრივე ვიყავი, გამოსვლაც არ მინდოდა. ბიჭები კულისებში მეხვეწებოდნენ, თან სპორტული ტანისამოსის ჩაცმას მაძალბებდნენ. მოვიდა მასლოვი, მედიდურად გამეჭიმა წინ და მეუბნება: “რა, თქვენ იცით კრივი”? “არა”, – ვუპასუხე, – “ოდესღაც ვმეცადინეობდი და ბიჭებს ჰგონიათ, რომ მოკრივე ვარ”. “რა გაენყობა, ცოტათი მაინც თუ იცით, გამოდით: მე ძლიერად დარტყმას არ დაგინყებთ”. ეს რომ მითხრა, ავენთე და გადავწყვიტე გასვლა. გივი ჩაჩხიანი გავაგზავნე კარავში და ხელის შესახვევი ბინტები მოვატანინე, აგრეთვე სპორტული ფორმაც და რამდენიმე ნუთში მზად ვიყავი რინგზე გასასვლელად, რომ გამოცხადდა: “საქართველოს, ამიერკავკასიის მრავალგზის და საბჭოთა კავშირის 1940 წლის ჩემპიონი ლუდუშაური. სარატოვის ჩემპიონი მასლოვი”, ცოტა არ იყოს, მასლოვი შეკრთა, მაგრამ სცენიდან ხომ ველარ გაიქცეოდა. ქართველები მოუთმენლად ელოდებოდნენ შეჯიბრის დაწყებას. შეჯიბრი დაიწყო. მასლოვი ჩემს ირგვლივ დარბის და ბრძოლას არ იწყებს. როგორც იქნა გაბედა. მე არ ვუპასუხე. გავათამამე, როდესაც რამდენიმე სერია ჩაატარა, ერთი პირდაპირი მოვარტყი და ჩაიჩოქა. ბიჭებმა ყვირილი დაიწყეს: “მიდი ლევან, მიდი”. ნამოდგა თუ არა, მეორე მოვარტყი და ისევ ნაიქცა; ამ დროს ვიღაც ქალმა დაიძახა ისტერიული ხმით ბაზიდან: “ქართველო, ძლიერად ნუ ურტყამ!” ხალხმა სიცილი დაიწყო. მსაჯმა შეჯიბრი შეაჩერა და მაყურებელს მიმართა: “ამხანაგებო, თქვენ ხედავთ ლუდუშაურის უპირატესობას, გამოცდილებასა და ოსტატობას, რის გამოც შეხვედრა შეწყვეტილია და გამარჯვება აშკარა უპირატესობისათვის ენიჭება ლუდუშაურს.” ქართველი ბიჭები კინაღამ სცენაზე ამოვარდნენ. კულისებში კი გადამეხვივნენ და დამინყეს კოცნა. “მაგრამ არ დაგარტყამ”, იმეორებდნენ მასლოვის სიტყვებს.

1948 წელს მონაწილეობა მივიღე ერევანში ამიერკავკასიის ხალხთა სპარტაკიადაზე და მოვიპოვე სპარტაკიადის ჩემპიონის ნოდება. “მისი ეს ბოლო ასპარეზი რინგზე მართლაც რომ სენსაციური იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან ჭიდილში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 36 წლისაა, იგი კვლავ მოძრავია და ფლობს ძლიერ, სწრაფ დარტყმებს” – წერდნენ გაზეთები. ძნელად, მაგრამ მაინც მივიღე გადაწყვეტილება გამოვმშვიდებოდი რინგს.

თუ ლევან ლუდუშაურის ცხოვრებას რომაელების გამონათქვამს მივუსადაგებთ, მას თავისუფლად შეეძლო ეთქვა: “მე გავაკეთე ის, რაც შემეძლო, სხვამ გააკეთოს ჩემზე უკეთ.”

მერე იყო ბრძოლები, უკვე სხვა, ახალ სფეროში, შესაძლოა უფრო

მკაცრი და უსამართლოც ამავედროულად, ვიდრე რინგზე შერკინება.

სამამულო ომის მონაწილე, პროფესიით არქიტექტორი, სპორტულ კარიერასთან ერთად ლევან ლუდუშაური აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყო ხელმძღვანელთა რიგებში რუსთავის ახლადჩამოყალიბებულ ავტომატიკის კვლევით ინსტიტუტში, თბილისის მეტრომშენებელთა პირველგზის გამკაფველთა შორის. კვლავ ჭაბუკური ენერგიით იღწვოდა პედაგოგიურ სარბიელზე. მისი ინიციატივით პირველად, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოეთში, გაიხსნა სპორტული სკოლა ინტერნატი გლდანში, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ედგა სათავეში. ამ სკოლაში არა ერთი საუკეთესო სპორტსმენი და პიროვნება აღიზარდა, კერძოდ, ომარ ფხაკაძე (მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი ველოსპობლაში), გურამ გუდაშვილი, კარლო გორდემაშვილი, ვახტანგ რეხვიაშვილი და მრავალი სხვა. მუდამ მხარში ედგა მშობელ მამასავით თვითეულ მოსწავლეს და ვინ იცის რამდენი მათგანი გადაურჩენია გზის აცდენისგან, ისინი დღეს მაღლიერებით იხსენებენ მის ამაგს.

ლევან ლუდუშაურს ჰქონდა ყველასგან დამალული ერთი დიდი ოცნება – დაბრუნებოდა თავის საყვარელ კუთხე-მხარეს ყაზბეგს, სოფელ სნოს და იქ აღეზარდა ქვეყნის ახალი ჩემპიონები. ხშირად, პირადად ჩადიოდა ხევში ნიჭიერი ახალგაზრდების გამოსავლენად. ამ მიზნით მას გადანახული ჰქონდა კრივის ხელთათმანები, რომელიც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოვაჩინეთ. ხელთათმანები გადავეცით სნოს სკოლას, როგორც აუხდენელი ოცნების სახსოვარი, ნიშნად მომავალი ოსტატების წარმოჩენისა.

მამას ღირსეულ თანამგზავრობას უწევდა მთელი ცხოვრების მანძილზე მისი მეუღლე – ფენია ლაბაძე.

ისინი 1932 წელს შეხვდნენ ერთმანეთს, საქართველოს ულამაზეს კუთხეში – ბორჯომის ხეობაში, სადაც ლევანი პრაქტიკაზე იყო მივლინებული რადიოტექნიკუმიდან. აი, როგორ იგონებს მამა მის პირველ შეხვედრას დედასთან: “ვინც ბორჯომ პარკში ნამყოფია, შეუძლებელია ცად აზიდულ მთებსა და უღრან ტყეებში მოქცეული, ხმაურიანი ბორჯომულას და აქა-იქ განფენილი ვულკანური წარმოშობის, გიგანტური სიდიდის ლოდების დანახვით და მთის წვერიდან გადმომდინარე ჩანჩქერის სილამაზით არ მოიხიბლოს. სწორედ აქ მოხდა ჩვენი პირველი შეხვედრა. ვხედავ ტყიდან გოგონა გამოდის, ისეთი ჰაეროვანი და მომხიბლველი, რომ თვალს ვერ ვაშორებ. იმ დღიდან მოყოლებული ყოველდღე ალიონს იქ ვხვდებოდი, ვუცდიდი მის გამოჩენას. დავინახავდი თუ არა ყურადღების მისაქცევად, ხან ყირას ვჭიმავდი, ხან ლოდებს ვეჭიდებოდი. მომაჯადოვა მისმა ტანადობამ, სილამაზემ, კდემამოსილებამ და სიმშვიდემ”.


ქალის, როგორც მეუღლის და დედის, უპირველესი დანიშნულებაა

მამაკაცის ფსიქოლოგიის ალღოს აღება, თანადგომა, თანაზიარება, სიმშვიდე, სიკეთე და შვილების ღირსეული აღზრდა. ყველა ამ ღირსებით უხვად იყო დაჯილდოებული ჩვენი დედა. იგი ჩვენი ოჯახის დედაბოძი იყო. დედას კარგად ესმოდა მამის ირგვლივ არსებული სიტუაცია და პრობლემები. უხმოდ იზიარებდა ცხოვრების მძიმე ტვირთს, ხდებოდა ყველა პრობლემის მშვიდი თანამოზიარე და ამტანი, მისთვის ჩვეული სიმშვიდით, სიტყვით, საქმის კეთებით. რამდენადაც მკაცრი იყო მამა ოჯახში, იმდენად მშვიდი და თბილი იყო დედა. თავად ობლობაში გაზრდილს, კარგად ესმოდა დედის და ოჯახური სითბოს ფასი, რომელსაც იგი უშურველად გასცემდა ოჯახშიც და გარეთაც. წლების მანძილზე არაერთი მოზარდი შეიკვდლა ჩვენმა ოჯახმა, თავისად მიიღო, დააკვლიანა, რაც შემდგომ ხანგრძლივ და თბილ ურთიერთობაში გადაიზარდა.

ამ მოგონებებით ჩვენ გვსურდა მოკრძალებით მიგვეგო ღირსეული პატივი ჩვენი მშობლების ლევან ლუდუშაურის და ჟენია ლაბაძის უძვირფასესი ხსოვნისათვის.



შვილი - ლილი, შვილიშვილი - მაია მგელაძე,
ლიანა და ნათელა ლუდუშაურები




ლენინგრადი, 1938 წ., ლევან ლუდუშაური, ვ. რუდომოტკინი, ა. ნოვოსარდოვი, გორგასლიძე, ა. ავეტისოვი, ლენინგრადის წარმომადგენელი.




1935 წ., საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ფეხბურთის გუნდი



1938 წ., საქართველოს მოკრივეთა გუნდი "მშენებელი"
ა. ბუზოლი, ბორის კალაძე, შალვა გორგასლიძე, იგორ ივაშჩენკო, ბორის კვინიხიძე,
ზურაბ კანდელაკი, შალვა დვალი, გიორგი დარახველიძე, ლევან ლუდუშაური




მოსკოვი, 1943 წ., საბჭოთა კავშირის აბსოლუტური პირველობა
რინგზე - ნიკოლაი კოროლიოვი და ლევან ლუდუშაური



მოსკოვი, 1938 წ., ლევან ლუდუშაური და სტეფანოვი



1956 წ., გურგენ გასპარიანი (მწვრთნელი)
და ლევან ლუღუშაური



1939 წ., მწვრთნელი დარახველიძე,
ლუღუშაური და დვალი



1930 წ., თბილისი, გურგენ გასპარიანი თავის მოწაფეებთან (ლადო მესხიშვილი, ლევან რუღუშაური, ბიძიანი, ავეტისოვი, ვართანოვი, რესპუბლიკის პირველობისათვის მატჩის წინ) ერთად



მოსკოვი, 1957 წ., ლევან ლუღუშაური ჩემპიონატის რეფერი, ევროპის პირველობა



მოსკოვი, 1957 წ., ევროპის პირველობა
ცენტრში - ანდრო ნოვოსადოვი და ლევან ლუღუშაური

ლევან ლუღუშაური




სოფელი სნო, ღუდუშაურების ციხე

1930 წ. თბილისი, გურგენი გიბარიაშვილის ფოტოგრაფია. აღწერილია ქ. სნოში აღმართის
ზედა ნაწილი, ადგილობრივი დროებითი მუზეუმის მუშაობის შესახებ. ფოტოგრაფია
შეიქმნა 1930 წ. თბილისში, გურგენი გიბარიაშვილის ფოტოგრაფიის სახელმწიფო
ინსტიტუტის ფოტოგრაფიის განყოფილებაში.




ლევან ლუცუშვილის ოჯახი, 1916 წ.

ლევანი, ვასილი, ესტატე (მამა), პავლე, არჩილი, სოფიო, ირაკლი



ლევანი, 1932 წ.




ლევანი, 1939 წ.



1941 წ., ძმები ლევანი, არჩილი და ირაკლი



1967 წ., ლევანი და ვანო მურადელი



1931-1932 წ.წ., კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი,
სცენა სპექტაკლიდან "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", ცაცა მამულია და ლევან ლუდუშაური



1937 წ., ბორჯომ-პარკი,
ლევან ლუდუშაური მეუღლესთან ჟენია
ლაბაძესთან ერთად



მოსკოვი, 1944 წ.,
ლევან ლუდუშაური პავლე ლაბაძესთან ერთად




1935 წ., ლევან ლუდუშაური და ჟენია ლაბაძე



თბილისი, 1941 წ.,
საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების გამოსაშვები სურათი



1965 წ., გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატი, კრივის სექცია



ВОСЕМЬ ЧЕМПИОНОВ

Дружеский шарж Ю. УЗЬЯКОВА.

"რვა ჩემპიონი" - მეგობრული შარჟი, ი. უზბიაკოვი
ნიკოლაი კოროლიოვი, ლევან ლუდუშაური, ანდრო ნოვოსარდოვი და სხვა ჩემპიონები

სპორტული და საზოგადოებრივი კარიერა, წოდებები და ჯილდოები

ლევან ლუდუშაურს, საქართველოს, ამიერკავკასიის და სსრკ ჩემპიონს კრივში, 16 წლიანი სპორტული კარიერის მანძილზე ჩატარებული აქვს 137 შეხვედრა რინგზე, რომელთაგან მხოლოდ 9 ბრძოლა აქვს წაგებული.

როგორც სამამულო ომის მონაწილეს, მიღებული აქვს მთავრობის 4 ჯილდო.

- 1938 წ. ქ. ბაქო – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნახევრად-მძიმე წონაში (საზოგადოება “სტროიტელი”)
- 1939 წ. ქ. ბაქო – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნახევრად-მძიმე წონაში (საზოგადოება “სტროიტელი”)
- 1940 წ. ქ. ივანოვი – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნახევრად-მძიმე წონაში (“ბ” ჯგუფი)
- 1944 წ. ქ. თბილისი – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნახევრად-მძიმე წონაში (საზოგადოება “დინამო”)
- 1945 წ. ქ. მოსკოვი – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში
- 1945 წ. ქ. მოსკოვი – საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნახევრად-მძიმე წონაში
- 1948 წ. ქ. ერევანი – ამიერკავკასიის ჩემპიონი ნახევრად-მძიმე წონაში
- 1951 წ. – საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება
- 1956 წ. – საკავშირო კატეგორიის მსაჯი
- 1969 წ. – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი
- 1962 წ. – საქართველოს მოკრივეთა ხელმძღვანელი ფინეთში
- 1967 წ. – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი წლების მანძილზე საქართველოს კრივის ფედერაციის თავმჯდომარე.

საქართველოს ეროვნული
საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ეროვნული საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ
2017 წლის იანვარში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების
შედეგების შესახებ

თანადგომისა და დახმარებისთვის მადლობას ვუხდით

- საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს **პეტრე ცისკარიშვილს**
- საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს **ვლადიმერ ახალკაცს**
- მიხეილ კირეულიშვილს**
- როინ კუპრავას**

